2202
Г 26/1864

# ГРУЗИНСКІЙ

# ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

## 1864.

## АВГУСТЪ.

საქართუჱლოს

სასულიერო მახარებელი.

აგვისტო.

ჩუჲდ ჱ.

ТИФЛИСЪ.

Въ ТИПОГРАФІИ А. ЭНФІАДЖІАНЦА и К-о.

# ПОДПИСКА

НА

# „ГРУЗ. ДУХ. ВѢСТНИКЪ"

**продолжается.**

Журналъ издается съ Іюля 1864 года, по утвержденной Святѣйшимъ Сѵнодомъ программѣ.

Подписка принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки — 4 р. с.; за одни прибавленія на русск. яз. — 1 р. с.

---

ხელის-მოწერა ჟურნალზედ მიიღება ტფილისის სემინარიაში, რედაქტორის სახელზედ. ფასი წლის ჟურნალისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ მიტანით და სხუა ქუეყნებში გაგზავნით ხ უ თ ი მ ა ნ ე თ ი; მიუტანელად და გაუგზავნელად ო თ ხ ი მ ა ნ., მარტო რუსულისათჳს ე რ თ ი მ ა ნ ე თ ი.

---

პასუხი რედაქციისაგან:

ქ უ თ ა ი ს ს,

მ. თადეოზ კანდელაკს.

თქუენს სტატიებს მადლობით მივიღებთ, და დავბეჭდავთ.

თ ე ლ ა ვ ს,

უ. ურიც. მ. ხელაევს.

გთხოვთ — თქუენ-მიერ აღთქმული სტატიები გამოგვიგზავნოთ.

რედ.

---

2) მეორე მსგავსება წმიდისა სამებისა იპოვება თვით კ ა ც ი ს ბ უ ნ ე ბ ა შ ი. კაცსა აქუს სიტყუა და გულის-ხმის-ყოფა: ეგრეთვე ყოვლად-ძლიერსა მამა ღმერთსა აქუს სიტყვა, პირველითგანვე მისთანა მეოფი, რომელიცა იწოდება ძედ მხოლოდ-შობილად,—და სული წმიდა, ერთისა და იმავე ღუთაებრივისა ბუნებისაგან გამომავალი.

3) პატიოსანი და ცხოველს-მყოფელი ჯვარი, რომელსა თაყვანის-ვსცემთ ქრისტიანენი და რომლისა სახედ არის შექმნილი თვით კაცი, წარმოგვიდგენს ეგრეთვე რაოდენიმე მსგავსებასა წმიდისა სამებისასა. სიმაღლე ჯვარისა აღნიშნავს მამა ღმერთსა, ზეცათა შინა დამკვიდრებულსა; სიღრმე მისი და სიმდაბლე აღნიშნავს ძესა, ქვეყანაზედ ხორციელად და სიმდაბლით განცხადებულსა და ვიდრე ქვესკნელადმდე შთასრულსა; ხოლო სიგრძე და სიგანე აღნიშნავს სულსა წმიდასა, ყოველგან მყოფსა და ყოვლისა აღმავსებელსა მადლითა თვისითა; ამისთჳს ჯვარის გამოსახვის დროს ჩუენ ყოველნი ქრისტიანენი აღვიარებთ და ვამ-

ბიბლიოთეკა

ზობთ: «სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა».

4) ამასთანავე ღირსი არის შენიშვნისა ისეცა, რომ წმიდა სპირიდონ ტრიმითვინტელმა იხმარა, ნიკიას კრებაში, დასამტკიცებელად ერთ-არსებისა და სამ-გვამოვნებისა ღუთისა, შემდგომი საშვალობა ანუ მსგავსება: აიღო ხელში ერთი აგური, და გაჰსწურა იგი მაგრათ; აგურიდგან გამოვიდა ცეცხლის ალი და ავარდა ზევით, წყალი დაიქცა ძირს, და თიხა დარჩა ხელში: მაშინ წმიდა სპირიდონმა დაუძახა ხმა მაღლად მათ, რომელთაცა არა სწამდათ ერთ-არსებაში სამ-გვამოვნება ღუთისა: «აჰა ერთი აგური და მას შინა სამი ნივთი—ცეცხლი, წყალი და თიხა! ესრეთ არის ერთს ღუთაებაში სამი პირი—მამა, ძე და სული წმიდა!»—

**§ 10.** მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ, ვითომც აღნიშნულნი აქა მსგავსებანი საკმაოდ აღგვიხსნიან წმიდის სამების საიდუმლოსა. რაოდენიც უნდა ვეცადოთ, რა საშვალობაც უნდა ვიხმაროთ, რა მსგავსე-

ბაც უნდა წარმოვიდგინოთ,—საიდუმლო ესე ყოველ-თჳს დარჩება მიუწდომელად არათუ ჩუენთჳს, არამედ თვით ანგელოზების გონებისათჳსცა. ღმერთი არის ისეთი ღრმა და განუზომელი არსება, რომ ჩუენი გო-ნების მოკლე აზრი ვერა-ოდეს ვერ მისწვდება მას; მხოლოდ უნდა გვრწამდეს მტკიცედ, რომ მამა, ძე, და სული წმიდა ყოვლითურთ ერთნი არიან, გარდა უშო-ბელობისა, შობისა და გამოსვლისა.—სარწმუნოება ესე არის ისეთი საჭირო და უტყუარი გზა კეთილ-მსა-ხურებისადმი, რომ გარდა ამისა ჩუენ არა გვაქუს არა-ვითარი ჭეშმარიტი საშუალობა ღუთის ცნობისა, სიამოვნებისა და ჰატივისცემისათჳს და სულისა ჩუენ-ნისა ცხოვნებისათჳს.—ეს არის თავი და საფუძველი ქრისტიანობისა;—ვისაც ეს სარწმუნოება მტკიცედ და შეუცვალებელად არა უჭირავს, იმის შრომა და ღუთის-მსახურება ფუჭია და სულის ცხოვნება უიმედო.—წი-ნააღმდეგნი ანუ შემცვლელნი ამ სარწმუნოებისანი იწოდებიან მწვალებლებად, და იგინი არიან განშორე-ბულ ყოვლისა ჭეშმარიტებისაგან და განდევნილ ქრის-

ტეს ეკკლესიისაგან, ვითარცა უარის-მყოფელნი ღჳთი-სა მადლისანი.

დავიმარხოთ, ქრისტიანენო, სარწმუნოება ესე და ყოველი წესი მისი მტკიცედ, და ამის ძალით მივიღებთ უმეტესსა მადლსა ღჳთისასა და მოტევებასა ცოდვათასა!

---

თვისებათა-თჳს ღჳთისა.

**§ 11.** ღმერთი არის არსება სულიერი, და არა ხორციელი ანუ სხეულევანი, ესე იგი—ის არის სრულიად მარტივი, წმიდა და უწმიდესი ყოველთა; მას არა აქუს არა-ვითარიმე დანაწილება ანუ განყოფილება ნაწილებად არცა ბუნებისა და არცა თვისებისა, როგორც ესენი აქუს ყოველს ნივთიერს და ხორციელს არსებას. ამისთვის ღმერთი არის უხრწნელი, უხილავი და დაფარული ყოველთა ხორციელთაგან. ამას გვიმტკიცებს საღმრთო წერილი, როდესაც უწოდებს ღმერთსა სულად (იოან. თავ. **4**, მუხლ. **24**), უხრწნელად და უხილავად (**1** ტიმოთ. თავ. **1**, მუხ. **17**; რომაელთა თავი **1**, მუხლი **23**); და როდესაც გვიწერს ესრეთ: «არა ჯერ-არს ვითარმცა

ვგონებდით ღ ჳ თ ა ე ბ ი ს ა მის მსგავს-ყოფად ოქროსა, გინა ვეცხლსა, ანუ ანთრაკსა გამოხატულსა ხუროებით განზრახვითა კაცთათა» (საქმე მოციქ. თავ. **17**, მუხ. **29**).—

მართალია, საღმრთო წერილში ხშირად სწერია, ვითომც ღმერთსა აქჳს რომელნიმე კაცის კუთვნილებანი, ესე იგი—ხელები, ფეხები, თვალები, ყურები, გული და სხჳანი; ეგრეთვე ხშირად იწოდება იგი ცეცხლად, ნათლად, მზედ და სხჳად: მაგრამ ამას აქჳს კიდევ სულიერი და უმაღლესი მნიშვნელობა; ესენი უნდა ვიგულის-ხმოთ კიდევ სულიერად, და არა ხორციელად, გინა ნივთიერად. ესე იგი: ხელი ღჳთისა აღნიშნავს ყოვლად-შემძლებელობასა მისსა, ფეხი—ყოველგან-მყოფობასა, თვალი — ყოვლისა-მხედველობასა, ყური—ყოვლისა მსმენელობასა, გული—ყოვლად-სახიერებასა, ცეცხლი, ნათელი და მზე—ყოვლად-სიწმიდესა, და სხჳანი. — მსგავსადვე ამისა ჩჳჴნცა ვხატავთ ღჳთაებას სხჳა-და-სხჳა ნაირად, ესი იგი—მამა ღმერთსა—მოხუცებულ კაცად, ძესა—შჳა-თანა კაცად ანუ ჭა-

ძუკად, ხოლო სულსა წმიდასა—ტრედად; მაგრამ ესე არა მისთვის, ვითომც ესრეთნი არიან ნამდვილად პირნი წმიდისა სამებისანი, არამედ მისთვის, რომ ჩუენი მოკლე გონება სხუაფრივ ვერ წარმოიდგენს ღმერთსა და თვისებასა მისსა, და ვერცა მისწვდება მას.

კეთილ-გონიერნო და ღუთის-მოყვარენო ყრნო! როდესაც გაიგონოთ ან იფიქროთ, რომ ღმერთი არის სულიერი და უხილავი, და არა ხორციელი, და ჩუენის გონების სისუსტისათვის იხატება ნივთიერად და მისაწდომელად:—მაშინ განიზრახეთ და დაიბეჭდეთ გულში, რომ მას უყუარს და ესიამოვნება ჩუენგან პატივის-ცემა უმეტესად სულითა და ჭეშმარიტებითა,—სიმშვიდითა და სიმდაბლითა, სიწმიდითა და სამართლითა, სულ-გრძელებითა და კაცთ-მოყუარებითა,—და არა მხოლოდ ხორციელითა ღვაწლითა და შრომითა, არცა ნივთიერითა შესაწირავითა.—ეგრეთვე, განიზრახეთ, რომ თუ ქმნილებანი ღუთისანი—ნათელი, მზე, მთოვარე, ვარსკვლავნი, ცხოველნი, მფრინველნი, კაცნი და სხუანი—არიან მშვენიერნი და სასურველნი სულისა, გულისა და საგრძნობელისა ჩუენისათჳს,—რაოდენ უფროს ამათსა უმშვენიერეს და უსატრფიალეს იქმნება შემოქმედი მათი—ღმერთი! ისწავლეთ ამ სახით მსგავსებისაგან ქმნილებისა შემოქმედის თაყვანის-ცემა!—

**§ 12.** ღმერთი არის ყოვლად-მეცნიერი, ანუ ყოვლისა მცოდნე,—ესე იგი—მან მხოლოდ უწყის სრულიად და ნამდვილად პირველად თავი თვისი და თავის ღუთაებრივი ბუნება და თვისება, და მერმე—ყოველივე, რაჲცა არის ზეცას და ქუეყანაზედ,—ხილული და უხილავი, სულიერი და ნივთიერი,—აწმყოფი, ნამყოფი და მყოფადი-მომავალი,—რაჲცა არის ახლა, ან ყოფილა პირველ, ან იქმნება ოდესმე: ეს ყოველი იცის ღმერთმან ცხადად და სრულიად, და არა არის მის წინაშე დაფარული და დამალული არა ვითარიმე ნივთი, არცა ცხოველი, არცა დიდი, არცა მცირე, არცა გარემოება, არცა საქმე, არცა განზრახუა, არცა სულთქმა, და არცა მოძრაობა სულისა და და ხორცისა ჩუენისა. ამას აღიარებს წმიდა წინასწარმეტყუელი დავით და იტყვის: «უფალო გამომცადე მე, და მიცან მე, შენ სცან დაჯდომა ჩემი და აღდგომა ჩემი. შენ გულისხმა-ჰყვენ ზრახვანი ჩემნი შორით; ალაგნი ჩემნი და ნაწილნი ჩემნი შენ გამოიკვლიენ, და ყოველნი გზა-

ნი ჩემნი წინასწარ ი ხ ი ლ ე ნ» (ფსალმუნი **138**, მუხ. **1—3**; და წმიდა სახარება გვიბრძანებს, რომ ერთიცა მფრინველთაგანი ა რ ა ა რ ს დ ა ფ ა რ უ ლ წინაშე ღჳთისა, და თმანიცა თავისა ჩჳჱნისანი ყოველნი გ ა ნ - რ ა ც ხ ი ლ - ა რ ი ა ნ (ლუკ. თავ. **12**, მუხ. **6, 7**).

დიდად სანუგეშოა ჩჳჱნთვის, რომ ღმერთმან იცის ყოველი საჭიროება, ყოველი განზრახვა, მწუხარება და განსაცდელი ჩჳჱნი,—სანუგეშოა, რომ თჳალნი მისნი ყოველგან და ყოველთვის გხედვენ ჩჳჱნ, და ყურნი მისნი ისმენენ ოხასა, ლოცჳასა და ვედრებასა ჩჳჱნსა; მაგრამ ვაჲ ჩჳჱნდა, თუ განზრახჳა და მოქმედება ჩჳჱ-ნი არის ფარისეველული და უწმიდური ღჳთის წინაშე!— შეიძლება (და ხშირათაც ვხედავთ), რომ ფარისევლობა უკანონობა, უსამართლოება და ბოროტ-მოქმედება და-იფაროს კაცთაგან; მაგრამ ღჳთისაგან არაოდეს არ და-იფარება.—მოქმედნო ქრისტესანო! მოიგონეთ ყოვ-ლად-მეცნიერი და ყოვლისა განმკითხველი ღმერთი და დაუტევეთ ბოროტება თქჳჱნი; გეშინოდესთ მისი: მან იცის ყოველი განზრახჳა და გულის-თქმა თქჳჱნი; ის ხედავს გულსა და თირკმელსა თქჳჱნსა; უკეთუ აღას-რულებთ ბოროტებას საიდუმლოდ, ღმერთი მოგივლენს თქჳჱნ სასჯელს ცხადად!—

---

§ 13. ღმერთი არის ყ ო ვ ლ ი ს - შ ე მ ძ ლ ე ბ ე-ლ ი,—ესე იგი—ის მოიყვანს აღსრულებაში ადვილად და დაუბრკოლებელად ყოველივეს, რაჲცა ეკადრება და ეთანხმება სიწმიდესა, სიბრძნესა, სახიერებასა, მართლ-მსაჯულებასა და კაცთ-მოყუარებასა მისსა, და არა რაჲ არს შეუძლო მისთვის.—მან ბრძანა მხოლოდ სიტყვი-თა—და იქმნა ცაჲ და ქუეყანა; მან ბრძანა მოსპოლ-ვა ცოდვილთა კაცთა წყლის-რღვნითა—და აღსრულ-და; მან ბრძანა დასჯა სოდომისა და გომორისა—და ერთს მინუტში დაინთქნენ ეს უსჯულო ქალაქები; მან ბრძანა დაცვა დანიელისა ლომების კბილთაგან—და იქმნა დანიელ უვნებელ მათგან, და სხუანი. ამისთვის საღმრთო წერილი ბრძანებს: «ღმერთმან ჩუენმან ცა-თა შინა და ქუეყანასა ზედა ყ ო ვ ე ლ ი ვ ე , რაცა უნდა ქ მ ნ ა» (ფსალმ. 113, მუხ. 11); ხოლო სიტყვისა-ებრ სახარებისა, შეუძლებელი კაცისათჳს შ ე ს ა ძ -ლ ე ბ ე ლ - ა რ ს ღუთისაგან,და არა არს შ ე უ ძ ლ ო მის წინაშე არცა ერთი რა (ლუკ. თავი 1, მუხ. 37; და კიდევ—თავ. 18, მუხ. 27).—

ქრისტიანო! ყოველს შენს განსაცდელში და მწუხარებაში, და უმეტესად ყოველს შენს კეთილ-განზრახვაში და მოქმედებაში მოიგონე სასოებით ყოვლად-შემძლებელი ღმერთი, ჲ შეგეწევის შენ.—ნუ გეშინის მტერისა ნურა-ოდეს, თუ მიგიძღვის სიმართლე: სადაცა არის სიმართლე, იქ არის ღმერთი. უკეთუ ღმერთი ჩჳ̂ენ კერძო არს,—ვინ არს ჩჳ̂ენდა მტერ?—

---

**§ 14.** ღმერთი არის ყ ო ვ ლ ა დ - ბ რ ძ ე ნ ი. სიბრძნე ღჳ̂თისა მდგომარეობს მას შინა, რომ იგი არის დასაბამი და დასასრული გონიერებისა, ანუ უგონიერესი ყოველთა, და მოქმედებანი მისნი არიან საკვირველნი, მიუწდომელნი და განსაცვიფრებელნი ყოველთა გონიერებათა-თჳს. მან შექმნა ყოველივე სიბრძნით და მარადის მოქმედებს ბრძნად, ესე იგი—ხმარობს თავის დიდს და სრულს გონიერებას თანახმად და შესაფერად ყოვლად-შემძლებელობისა და ყოვლად-სახიერებისა თვისისა.—მოვხედოთ ქმნილებასა ღჳ̂თისასა: ცასა და ქჳ̂ეყანასა, კაცსა და პირუტყჳ̂სა, წყალსა და ხმელეთსა. რა არის უმშვენიერესი და უსაკვირველესი უფროს ამათსა? — და უმეტესად, რა არის

უგონიერესი და უმეცნიერესი ქჳეყანაზედ იმა გონიერისა არსებისა, რომელსაცა ეწოდება კაცი და რომელიცა არის მხოლოდ ხატება და მსგავსება ღჳთისა?—რომ განვიხილოთ მოქმედება კაცის გონებისა ნამეტნავად ამ დროებაში,—ბევრს რამეს განსაცვიფრებელს ვპოვებთ.—და ყოველივე ესე არის ნიჭი და ქმნილება ღჳთისა: მაშა სადამე გონება ღჳთისა—წყარო და საფუძველი ყოვლისა სიბრძნისა და მეცნიერებისა—არის უუსრულესი ყოველთა, ანუ სხვებრ—ღმერთი არის მ ხ ო ლ ო დ - ბ რ ძ ე ნ ი (1 ტიმოთ. თავ. 1, მუხ. 17), და გ უ ლ ი ს - ხ მ ი ს ა მისისა არა არს რ ი ც ხ ვ ი (ფს. 146, მუხ 5). ამისთჳს წმიდა მოციქული პავლე, განკჳრვებული სიბრძნისა-თჳს ღჳთისა, ღაღადებს: «ჰოი სიღრმე სიმდიდრისა და ს ი ბ რ ძ ნ ი ს ა და მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ა ღჳთისა, ვითარ გამოუძიებელ-არიან განკითხჳანი მისნი და გამოუკჳლეველ გზანი მისნი! ვინ ჰსცნა გ ო ნ ე ბ ა უფლისა? ანუ ვინ თანამზრახველ ეყო მას?» (რომ. თავ. 11, მუხ. 34. 35).

სიბრძნის შემძიებელო და მეცნიერების მოყუარეო კაცო! ხელთა შინა უფლისათა არის ნაწილი შენი; ის მოქმედებს მარადის და განაგებს ყოველივეს სიბრძნით: იყავნ დარწმუნებულ, რომ საქმესაცა შენსა განაგებს სიბრძნით და წარიყვანს კეთილად, თუმცა გონება შენი ვერ მისწვდება ამას;—ეგრეთვე, იყავნ შენცა ბრძენ და მეცნიერ სიტყვით და საქმით. ხოლო უკეთუ ნაკლულევანი ხარ სიბრძნითა, ითხოვე ღმთისაგან, რომელმან იგი მოსცის ყოველთა უხვად; ითხოვე მხოლოდ სარწმუნოებით და კეთილ-მსახურებით, და არა ორგულებით: კეთილ-მსახურება არის სიბრძნე და განშორება ცოდვათაგან—მეცნიერება.—

---

**§ 15.** ღმერთი არის ყ ო ვ ე ლ გ ა ნ - მ ყ ო ფ ი.— ყოველგან-მყოფობა ღმთისა არის ისეთი თვისება მისი, რომლითაცა არა განისაზღვრება იგი ადგილობითა, ესე იგი—ვერა დააბრკოლებს, ანუ ვერა დაიჭერს მყოფობასა მისსა ვერცა წყალი, ვერცა ხმელეთი,—ვერცა სიგრძე, ვერცა სივრცე, ვერცა სიღრმე და ვერცა სხუა რაიმე ადგილისა; არამედ არის და ჰგიებს იგი მარადის ყოველგან და ყოველთა ზედა დაუბრკოლებელად და შეუიწროებელად, ვითარცა სული ყოვლისა აღმავსებელი. ამისთჳს ვამბობთ: ღმერთი არის დაუ-

ტევნელი, განუზომელი, განუსაზღვრებელი და გარე-
შემოუწერელი.—ამას გვიმტკიცებს საღმრთო წერილი
მრავალგან. მაგალითებრ: სოლომონ ბრძენმან წარ-
მოსთქუა თავის მხურვალე გულის ლოცვაში ღუთის
წინაშე ესე: «ცანი და ცანი ცათანი ვერ კმა-ჰყოფიან
შენ» (3 მეფეთა თავ, 8. მუხ. 27); და თვით უფალი
ღმერთი ბრძანებს თავისა თჳსისა-თჳს წინასწარმეტ-
ყველის პირით: «ცანი საყდარი ჩემნი, და ქუეყანა
კვარცხლბეკი ფერხთა ჩემთა: ვითარი სახლი მიშენოთ
მე, ანუ რაჲმე ადგილი იყოს განსასვენებელისა ჩე-
მისა» (საქმე მოციქ. თავ. 7, მუხ. 49); და კუალად:
«დაიფარვისა ვინმე ჩემგან ადგილთა შინა ფარულთა?
იტყვის უფალი. არა მე აღვავსება ცასა და ქუეყა-
ნასა» (იერემ. თავ. 23, მუხ. 23. 24)?

ხოლო სახე ყოველგან-მყოფობისა ღუთისა,—თუ
როგორ იმყოფება ღმერთი ყოველგან—ჩუენთჳს მი-
უწდომელი არის, ვინაჲდგან ჩუენ ვართ ხორციელნი
და ნივთიერნი;— და ყოველი ხორციელი და ნივთი-
ერი არსება არის განსაზღვრული და შეპყრობილი

ადგილობითა, ესე იგი—როდესაც ვართ ჩუენ ერთს ადგილს, მაშინ სხუაგან არ შეგვიძლიან ყოფნა ხორციითა, არამედ ვართ სრულიად დამოკიდებულნი იმ ერთს ადგილს, სადაცა ვიმყოფებით. მხოლოდ ჩუენნი სულის თვისება აგვიხსნის და განგვიმარტებს ცოტად ამ საიდუმლოს: როდესაც ვართ ჩუენ ერთს ადგილს ხორციითა, მაშინ სული ჩუენი მოძრაობს, და აზრითა თვისითა ერთს მინუტში მიმოივლის ცასა და ქუეყანასა. მაშა-სადამე ღუთისა-თჳს, რომელიცა არის უმთავრესი და უჴირველესი სული, ადვილ შესაძლებელი-ა ყოველგან-მყოფობა.

მაგრამ ყოველი ღუთის საქმე და თვისება ითხოვს ჩუენგან არა გამოძიებასა და გონებით მიწთომასა ანუ სრულებით ცნობასა, არამედ სარწმუნოებით მიღებასა და გონების დამორჩილებასა; ამისთჳს ჩუენ უნდა ვვრწამდეს მტკიცედ, რომ ღმერთი არის ყოველგან,— მაგრამ არა ესრეთ, ვითომც ის არის ნაწილ-ნაწილ განყოფილი, განთესილი, განბნეული და მოვრდომილი ანუ მოფენილი ყოველს ადგილს, არამედ ჴვი-

ჟმს იგი ყოველგან თავის განუზომელი არსებით ერთად, მრთელად და ვრცელად.—ამასთანავე უნდა გვრწამდეს და ვიცოდეთ ისეცა, რომ ღმერთი, მყოფი ყოველგან განუსაზღუ̂რებელითა არსებითა, ჰგიებს ზოგ-გან განსაკუთრებულითა მადლითა, ანუ არის უფრო დაახლოვებულად, ესე იგი—ზეცას, ეკკლესიაში, წმიდა შეკრებულებაში და სხ.; ამისთჳს იტყვის უფალი: «მომეახლენით მე და მივეახლები თქუ̂ენ»,—და ზოგიერთი ადგილიდგან არის განშორებული, ესე იგი უწმიდურისა, უკეთურისა და უსჯულოებით აღვსებულისაგან. ამისთჳს სწერი-ა: «განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი.»—

უფალი ყოველგან არის: მაშა-სადამე უნდა ვიდოდეთ და ვიქცეოდეთ ჩუ̂ენ ყოველს დროს და ყოველს ჟამს შიშით და კრძალულებით, ვითარცა მარადის მხედველნი უფლისანი,—უნდა ვიყვნეთ ისე ფრთხილად, ვითარცა კეთილნი შვილნი წინაშე მშობელთა თვისთა, რათა არა განვამწარეთ და განვარისხოთ თუ̂ალნი და ყურნი უფლისანი უჯეროებათა სიტყვითა და საქმითა.—საწყალო ცოდვის მოყუ̂არეთო კაცო! ვერა დაგჴფარავს შენ ღუ̂თისაგან ვერცა კლდე, ვერცა ღრე, ვერცა ტყე, ვერცა ველი, ვერცა სახლი და ვერცა კარი: ყოველნი საქმენი

შენნი ცხად და შიშველ-არიან წინაშე ღ̃თისა.—მოიქეც უკუ̃ც ბოროტისაგან და ჰქმენ კეთილი !

---

**§ 16.** ღმერთი არის მ ა რ თ ლ - მ ს ა ჯ უ ლ ი. მართლ-მსაჯულება ღ̃თისა მდგომარეობს მას შინა, რომ ღმერთმან მისცა სჯული ყოველს გონიერს არსებას, ესე იგი—სჯული ბუნებითი და წერილობითი, და ითხოვს მათგან აღსრულებასა მათსა: აღსრულებისა-თჳს აჯილდოვებს, ხოლო დარღვევისა-თჳს სჯის.—ესრეთ საღმრთო წერილი გვიმტკიცებს ჩ̃ნ, რომ ღმერთმან მისცა-რა სჯული კაცსა, უბრძანა მას ესრეთ: «რომელმან ჰყოს და აღასრულოს ესე (სჯული), ცხოვნდეს; ხოლო რომელმან არა ჰყოს და არცა ისმინოს ჩემი, დ ა ი ს ა ჯ ო ს ;» და კ̃ალად: «უკეთუ გინდესთ და ისმინოთ ჩემი, კეთილნი ქ̃ყანისანი სჭამოთ; ხოლო უკეთუ არა გინდესთ და არცა ისმინოთ ჩემი, მახვილმან მოგწყვიდნეს თქ̃ნ: ჰირი უფლისა იტყვის ამას» (ისაიასი თავ. **1**, მუხ. **19**, **20**). ესე სთქ̃ა ღმერთმან ძველს აღთქმაში. ხოლო მალი ახალი აღ-

# უდაბნო ღირსისა მამისა ჩუჱნისა დავით გარესჯელისა.

---

ერთსა ზემო ხსენებულთა მათ მთათაგანსა, რომელიცა განგრძნდების ჩრდილოთგან სამხრეთით კერძო რავდენითამე უტევანითა, შენ-არს სავანე წმიდისა დავით გარესჯელისა, ათორმეტთა მათ ცქემოსანთა მამათაგანისა, რომელნიცა გამოცხადებითა წმიდისა ღუთის-მშობლისათა მოვიდნენ ასურეთით ქართლად, მეექუსესა საუკუნესა შინა, ქართუჱლთა მეფობისა ზეობასა ფარსმანისასა, და მამათ-მთავრობასა ავლავიოს კათოლიკოსისასა, და დაემკვიდრნენ თჳთოეულნი მათგანნი სხუადა-სხუათა ადგილთა ქართლისა და კახეთისათა, სადაცა მიუძღუა მათ განგება საღმრთო, და განამტკიცებდეს ერთა შორის წმიდისა ნინას ქადაგებულსა ქრისტეს სარწმუნოებასა ცხოვრებითა და მოძღურებითა თჳსითა, რომელთაცა შეიდგინნეს მრავალნი ბაძუად მონოზონებითსა ღუაწლსა შინა თჳსსა, და აღაშენნეს ვრცელნი მონასტერნი სიცოცხლესავე შინა თჳსსა, სადაცა იღუწიდენ და შურებოდენ, და ჰყოფდენ სასწაულებთა და ნიშებთა ბუნებათა უზესთაესთა სადიდებელად ღუთისა. ხოლო ესე წმიდა და საკვირუჱლთ-მოქმედი ღირსი დავით დაემკვიდრა ხსენებულსა მას მთასა შინა, რომლისა ძლით აღშენდენ ათორმეტნი იგი მაონსტერნი მრავალ მთის უდაბნოსანი, და სკიტენიცა მრავალნი, ესე იგი, ორთა და სამთა მონოზონთა სამხოლოონი, გინა დასაყუდებელნი განკერძოებით საცხოვრებელნი.

კაცი უცები და უალი მათ ადგილთა შინა, და მიმავალი ჩრდილოეთით სამხრეთად გზასა დავით გარესჯის უდაბნოსასა, რომელსა მიახლო-

ვდების-რა, იხილავს პირჳელად თხემსა ზედა მთისასა საყარაულოსა კოშკსა ქვითკირისასა ოთხკუთხედად ნაშენსა, და მისრული ძირსა მის მთისასა, იხილავს ჳეცრად მას შინა ბჭესა დახშულსა აღმოსავლეთად მხედჳელსა, და მასთანა მცირესა გედელსა და კუთხესა სახლისასა, და განკვირდების უდაბურსა მას ადგილსა შინა შემთხჳევისა მისისათჳს; და რაჟამს, შევალს ბჭესა მას შინა, მუნით რეცა შთამხედველსა ჭოგრსა შინა, მყის წარმოუდგებიან თჳალთა წინაშე უცხონი სახილველობანი; ხენი მწვანით მოსილნი, კოშკნი ქვითკირისანი, მცირე რაჲმე შენობანი და გარემოს მათსა შიშველნი კლდენი სამისავე მხრით აღმართებულნი, რომელთა შინა იხილვებიან კარნი და სარკმელნი არა თანასწორსა განკარგულებასა შინა მყოფნი: ესე არს სავანე ღირსისა მამისა ჩჳენისა დავით გარესჯელისა! რომელიცა მდებარებს ხევსა შინა, საშჳალ ხსენებულთა მათ კლდეთასა, და ჰგიეს შენად ვიდრე აქამომდე განგრძობასა შინა ათასი ორასის წლისასა, და არა ოდეს დაცხრომილ არს მას შინა დიდება ღჳთისა, ღჳაწლნი, შრომანი, ცრემლთა თხევანი და ოფლთა დენანი წმიდათა მამათა მუნ მცხოვრებთანი ვიდრე მოდღეინდელად დღედმდე!

წარსრული მიერ ბჭით რვასა, ანუ ათსა ნაბიჯსა, შევალს კაცი კვალად მცირესა კარსა და აღვალს სწორესა მოედანსა ზედა, რომელ არს ზემო და პირველი ნაწილი სავანისა ამის, სადაცა დასდგების რა დასავალით კერძო მხედველი, იხილავს მარჯვნივ კლდესა შინა გამოკჳეთილთა რჳათა სენაკთა, სადგურთა მონაზონთასა, თითოსა კარის და სარკლმისა მქონებელთა, რომელნიცა სხჳაობენ ერთ მეორისაგან ზომით და გამოკვეთილებით მდებარეობისამებრ კლდისა: ხოლო დასავლით კერძო იხილავს კარსა და სარკმელსა პალატისასა, და გვერდით მისა ერთსა სისწორესა შინა ერთსა სარკმელსა ეკკლესიისასა, და ორთა კართა და სარკმელთა საკუჭნაოთასა: და შევალსრა კარსა პალატისასა, იხილავს სივრცესა მისსა კამარედად გამოჭრილსა კლდესა შინა, რომელიცა არს სიგრძით $8\frac{1}{2}$ საჟენი, სიგანით ორი საჟენი და ორ ადლნახევარი, ხოლო სიმაღლით 3 საჟენი, სადაც შეკრბებოდიან მუნებურნი ძმანი ტრაპეზად,

და სამონასტროთა საქმეთა განსაგებლად, რომელსა შინა არს ორსავე მხარეს ტაბლა ფიცრისა განზიდული თავიდგან ვიდრე ბოლოდმდე ქვით-კირის ზურგთა ზედა დამყარებული, (1) და თავს საკუთრად საჯდომი წინამძღვრისა ქვითკირით მომაღლოდ ნაგები, რომელსა ზედა დასჯდე-ბოდის ჟამად პურისა იკონომოსითურთ და რიგის მღუდელ-მონოზო-ნით, და ჟამსა ჭამისასა, აღხდებოდის სამწიგნობრესა ზედა განწესებული ძმათაგანი, და იკითხვიდის ცხოვრებასა, გინა სწავლასა წმიდათ მამათა-სა ჩუეულებისამებრ მონასტრისა, რომელსა ისმენდენ ძმანი ყოველნი ჭამასათანა მდუმარებით, ყურადღებით და ღმობიერებით; და შემდგომად ტრაპეზით აღდგომისა შემწირველნი ლოცვისანი წარვიდოდიან მყუდროე-ბით თვის თვისთა სენაკთა შინა ხელთსაქმარისა რაჲსათჳსმე ვის რა ძალედვა ვიდრე მიმწუხრადმდე.

ამა ხსენებულის პალატით შევალს სამხრით კერძო კარი დიდს ეკ-კლესიასა წმიდისა იოანე ღუთის-მეტყუელისასა, რომელსაცა განჭყოფს პალატისა ამისგან კედელი ერთი, მისვე ბუნებითისავე კლდისა: ესე ეკ-კლესია არს სიგრძით $8\frac{1}{2}$ საჟენი ვითარცა პალატი, სიგანით 4 საჟენი, ხო-ლო სიმაღლით $4\frac{1}{2}$ საჟენი, და კამარად გამოკუეთილ (2). კანკელი მისი გამოქმნილ-არს მას შინა ძირიდგან ვიდრე თავადმდე მრთელი ბუნებითი-სა მისგანვე კლდისა, გამოკვეთასავე შინა ამა ეკკლესიისასა ქმნილი, და მას ზედა გამოხატულ არიან ხატნი ვიდრე აქამომდე ცხოვლად დაშთე-ნილნი. საკურთხეველსა აქუს აღმოსავლეთით ზემოხსენებული იგი ერთი

---

(1) ამა ტრაპეზის მიხედვით გულის-ხმა-იყოფების თუ რაოდენი სიმ-რავლე კრებულისა ყოფილ არს სავანესა მას შინა.

(2) ამა კამარისაგან ჩამოიმზღჳლა წინათ რაოდენისა წლისა, კლდე სიმძელისაგამო ერთსა ადგილსა რაოდენიმე ფუთი, და მის გამო არღარა აღასრულებენ მას შინა საღმრთოსა მსახურებასა რომლისა განახლება და გალესვა არა ძნელარს უკეთუმცა ექმნების აწინდელსა საუკუნესა შინა ესე ვითარსა სიმძელესა და ღირსად სახსოვარსა ადგილსა მიხნევა კერძოსა ამას შინა.

ოდენ სარკმელი, მხოლოდ რომლისაგანცა მიიღებს ეკკლესია ნათელსა, ეგრეთ, ვითარ იგი, ყოველნი გამოკჳეთილებანი სავანესა მას შინა თითოსა სარკმლისა და კარისაგან მიიღებენ სინათლესა. აქა დამარხულ არიან საჩინონი გჳამნი, მღჳდელთ-მთავარნი, მენებურნი წინამძღჳარნი დ სხჳანი.

გამოსრული ეკკლესიისა და პალატისა მისგან იხილავს ორთა ზემოხსენებულთა კოშკთა, მასვე მოედნის პირსა ზედა მდგომარეთა, ერთსა აღმოსავლეთით და მეორესა სამხრით კერძო: ამას მეორესა კოშკსა შინა დაცულ-იყჳნენ ნივთნი სამონასტრონი, ძველნი წერილნი ეტრატზედ ნაწერნი, ეგრეთვე საჭურველნი თოფნი სხჳა-და-სხჳა გვარისანი მტერთა მოსაგერებლად (3). ამა კოშკიდამ ვიდრე ხსენებულს საკუჭნაომდე გავლებულ-არს კედელი ქვითკირისა და მიდგმულ კლდესა ზედა, რომელიცა შეადგენს ზემონაწილისა ამის გალავნის ზღუდესა. ამას კედელსა

(3) თუმცა ძნელად შესავალ-არს მტერთაგან უდაბნო ესე, ვითარ იგი, სხჳანიცა; გარნა ვინადგან ხშირად გამოსჩნდიან მუნ ავაზაკნი; და იგინი, რომელთაცა უწყოდენ ცხოვრება და მოქალაქობა მათი, ვერარასამე გაბედვიდენ ვნებასა მათსა, არამედ თანა წარხდებოდენ პატივით: ხოლო რომელთა არა უწყოდენ ცხოვრება მათი და იკადრებდენ ვნებასა რაჲსამე ქედყოფად, მაშინ იხმარებდენ საჭურველთა ამათ ყარაულნი მონასტრისანი დახშულის მონასტრიდამ და თოფთა სროლით მოიგერებდენ, რომელნიცა ჭყჳანდათ დადგინებულ თვითოეულსა მონასტერსა თვის თვისთა სოფლებთაგან რაოდენიცა სახმარ იყო და იცჳალებოდენ იგინი ყოველ თვე. გარნა 1851 წელსა შინა, ივლისის 19-სა რაოდენიმე თათარნი მოგზაურობის სახელ შეეტყუვნენ ჩვეულებისამებრ წყლის თხოვისათჳს, და რადგან არღარა ჭყჳანდათ ყარაულნი, განუღესრა ბერებმა კარი მონასტრისა და შეიწყნარნეს, მყის თანა შეჭყჳა მათ დამალული ვიდრე ოცადმდე ლეკი, რომელთაცა მოსწყვიდნეს ბერები და აიკლეს ყოველი სამკაული მონასტრისა ეკკლესიებში თუ ხსენებულსა მას კოშკსა შინა მდებარენი და წარვიდენ მშვიდობით და უვნებლად!

შინა არის კარი რკინისა, სადეთგანცა განსრული კაცი შთავალს ქუჱმო-სა და მეორესა ნაწილსა მონასტრისასა ქვით-კირის კიბეთა ზედა აღმოსავლეთად, და განვალს მცირესა გალავანსა შინა, სადაცა მდგომარებენ რაოდენნიმე ხერგნი და ხენი ლეღვთანი. ამას გალავანსა აქუს აღმოსავლეთით კედელი ქვით-კირისა, მცირის კარითურთ, რომელიცა შეჰკრავს ზემოხსენებულსა ხევსა და შეზღუდავს მეორესა ამას ნაწილსა მონასტრისასა; მუნვე მარჯუნივ არს კარი, რომელიცა განვალს გარე მონასტრისა სამხრეთით კერძო კალთასა ზედ მის მთისასა, რავდენმე მოვაკებულსა, რომელიცა აქუსთ საბოსტნედ ძმათა. ხოლო მარცხნივ არს გალავანსა მას შინა სამძგიდე შედგენილება შენობათა. ქუჱმოსა ძგიდესა შინა არს ეკკლესია ქრისტეს ფერისცუალებისა, რომელიცა ეგრეთვე გამოკუეთილ არს კლდესა შინა სიგრძით 6 საჟენი და ორი ადლი; სიგანით 2 საჟენი და ხუთი ჩარექი, ხოლო სიმაღლით 2½ საჟენი. გარნა სამხრეთის კედელი აქუს მას ქვითკირით ნაშენი თავითგან ვიდრე ბოლომდე (4), და ჰქონან კე-

(4) ესე ეკკლესია იყო პირველად ღრმა მღვიმე, რომელსა შინა ჰსცხოვრებდა ღირსი ესე წმიდი დავით, სადაცა აღსრულდა და მუნვე დაეფლა; და შემდგომად მიცვალებისა მისისა, მკვიდრთა მის უდაბნოსათა, გამოჰკუეთეს, განავრცელეს, აღაშენეს კედელი ესე და ჰქმნეს ეკკლესიად. ესე ღირსი და ღმერთ-შემოსილი მამა ჩუენი დავით შემდგომად რაოდენისამე წლისა უდაბნოსა და მღვიმესა მას შინა მკვიდრობისა თვისისა, საღმრთოთა სურვილითა აღძრული წარვიდა იერუსალიმს მოსალოცავად წმიდათა ადგილთა, ვითარცა მოუთხრობს ცხოვრება მისი, და დაუტევა ნაცვლად თვისა უდაბნოსა მას შინა დოდდო მოწაფე თვისი. ხოლო თვით მისრულმან იერუსალიმად, და მხილველმან ქალაქისამან ქედისაგან მადლობისა თაყუანისცა მუნითგან წმიდათა მათ ადგილთა, და არა ღირსად შერაცხა თავი თჳსი შესლუად ქალაქსა შინა მეტყუელმან თანამოგზაურთა თვისთა მიმართ, ვითარმედ «არა ღირს ვარ მე დათრგუნვად უღირსითა ფერხითა ჩემითა წმიდათა მათ ადგილთა, რომელთა ზედაცა ვლიდა უფალი ჩემი.» შემდგომად ლოცვით განტარებისა ღამისა მის, დადრკა და აღიხუნა ნაღუა-

დელსა მას სამნი სარკმელნი კედლისა მის კამარათა შინა, ესე იგი, ერ-
თი საკურთხეველსა შინა, მეორე საშჳალ კანკლის სანათობელად, და მე-
სამე თავსა ზედა ეკკლესიად შესავალის კარისასა, რომლისა გარეშე არა
ჰქონან სხჳანი კარნი და არცა სარკმელნი. ამა საშჳალის სარკლმისა თა-
ნა არს, ქჳეშე კედლის კამარისა, ლუსკუმა წმიდისა დავით გარესჯელი-
სა მონასტრისა ამის დამაფუძნებელისა, რომელიცა არს გაჯით გალესილ.
და ოქრომკედით ნაკერის საბურველით დაბურვილ, რომლისაცა ჴსენება-
სა აღასრულებს ქართჳელთა ეკკლესია შემდ͠გ პასქისა მეშვიდისა კვი-
რიაკისა ხუთშაბათსა. კანკელი ეკკლესიისა ამის არის ტილოზედ კანონი-
ერად ნახატი, და თვით ეკკლესია კმად გაწყობილ, რომელსა შინა აღე-

---

რევისაგან სამნი ქჳანი სარწმუნოებით ევლოგიად მოსართმეველად მო-
ნასტრისა თჳისისა, და შთამდებელი მათი ვაშკარანსა შინა უკუნიქცა გზა-
სა თჳისსა. ხოლო მას ღამესა იხილა ჩვენება პატრიარხმან მის ქალა-
ქისამან, რომელსა შინა რქჳა ვინმე, ვითარმედ « ბერმან ვინმე უცხომან წა-
რიღო სრულიად მადლი იერუსალიმისა ». და დიდეულ განფრთხობილ-
მან პატრიარხმან ამდევრნა კაცნი, რომელსა ეწივნენ და მიუხჳნეს მას
ორნი ქჳანი და მესამე დაუტევეს მისთანა, რომელი ესე მოიღო წმიდა
დავით მონასტერსა შინა თჳისსა; და შემდგომთა მრავალთა წელთა გარ-
დაცჳალებისა მისისათა არ ვინღა უწყოდა ვითარება და სადაობა ქვისა მის,
არცა ძმათა წმიდისა მის სავანისათა, და არცა სხჳათა ვიეთმე წერილით
გინა ზეპირ მოთხრობით ვიდრე 1811-ს წლადმდ͠. ხოლო ამას წელ-
სა შინა სიძველისაგამო ინება ზემოხსენებულისა მის სამხრეთის კედლის
განახლებაჲ საფუძველითგან, მისვე სავანის წინამძღჳარმან არხიმანდრი-
ტმან ილარიონ, გვარად ვახნაძემ; და იწყო მან საფუძველითგან შენე-
ბა მისი, მოსთხოვა საჭიროებამან განსწორება კანკლისა თანა საკურთ-
ხეველის ძველის ოთხკუთხედის სვეტისა მის, რომელ არს ფერხით კერძო
წმიდისა დავითისა, დ განვრცელებაცა კამარისა მის, რომლისა ქვეშე არს
ლუსკუმა ღირსისა ამის. ხოლო ჩამოაქციარა ნახევარი სვეტისა მის ფერხით

სრულების საღმრთოჲ მსახურებაჲ სამარადისოდ. ამა ეკკლესიისა სისწორესა შინა არიან სამნი სენაკნი ქვით-კირით შენებულნი და სხჳა არა რაჲმენი. მეორე მგიდე მისი შეადგენს შენებულთა აივანთა, სენაკთა, კიბეთა და გამოკვეთილთა თახჩათა. ხოლო მესამე მგიდე ახლის გჳარით შენებულთა წინამძღჳრის სადგომსა საჩეხიანსა, სენაკსა მოლარისასა, და მცირესა ეკკლესიასა წმიდის ნიკოლაოსისასა სიგრძის მქონსა 4-ის საჟენისასა, ხოლო სიგანისა და სიმაღლისა ორ ორისასა ქვით-კირით ნაშენსა, რომელნიცა არიან პირველსა შესავალსა თანა პირველ ხსენებულისა მის მონასტრის პირჳელისა ბჭისასა.

---

კერძო წმიდისა მის, გამოჩნდა კედელი გაჯით გალესილი, და მას ზედა დახატულ ხატი წმიდისა დავითისა, და ღირსისა დოდოსი, რეცა ურთიერთარს კელთა ამბორის-მყოფელნი და მნიშჳნელნი ახლად შემთხჳევისა მათისანი მხიარულითა სახითა, რომელსაცა ცხად-ჰყოფდა მისვე გამოხატულების თავსა ზედა წარწერილი ესრეთ; « ხატი წმიდისა დავითისა იერუსალიმით მოსლვისა ». გარნა კვალად ისაჭიროვა მის ჟამისა ეკკლესიისა მის სრულიად განახლებამან კედლისაცა მის ჩამოქცევა ხატითურთ გასასწორებელად კანკლისა თანა, და რაჟამს ჩამოქცეულ-იქმნა, გამოჩნდა კვალად სხჳა კედელი და მას შინა თახჩა მცირე გაჯითავე გალესილნი, და მას თახჩასა შინა მცირე სორო, რომელსა შინა იდჳა ქჳა იგი პატიოსანი წმიდისა დავითისაგან იერუსალიმით მოხმული, სადაცა იჩვენებოდა ნანთებობა სანთლისა, და კვალად ნალვენთნიცა სიძველისაგან უფერულ-ქმნილნი. ქჳა ესე არს რაოდენობით ბატის კვერცხზედ მცირედრე ნაკლები და მსგავსადვე მისა მოგრძე, თავსა ზედა აქჳს ხალი დაძველებულის სისხლის ფერი, და ცალს გვერდზედ იმავე ფერით წვრილად ჩაწრეებული თავითგან ვიდრე ბოლოდმდე, ხოლო ფერით არს საშჳალი წითლისა და თეთრისა, გარნა მოქმედი კურნებისა სარწმუნოებით შემხებელთა მისთად; რომელიცა, ვინადგან იყო ესე ძველადვე დაკრძალულ წმიდათა მამათაგან ხსენებულსა მას კედელსა შინა, ამისთჳს აწინდელ-

ხოლო მესამე ნაწილი მონასტრისა ამის არს სამხრეთით კერძო, პირის-პირ ამა მეორის ნაწილისა, მთის კალთასა ზედა, შიშუელსა კლდესა შინა გამოკუეთილ, გაღმა ზემოხსენებულისა მის ხევისა, რომელსა შინა არს ეკკლესია ღუთის-მშობლის მიძინებისა შუენიერად გამოქმნილ, სიგრძით 4-ის საჟენისა, სიგანით 2-ის საჟენისა და 2-ის ადლისა, ხოლო სიმაღლით 2-ის საჟენის და ნახევარ ჩარექისა, რომლისა კანკელი არს გაჯით შენებულ და შაბაქად გამოჭრილ, ხატნი ტილოზედ დახატულ, ამბონი და იატაკი კანონიერად გამოკვეთილ, და ცა კამარად გამოჭრილ, ხოლო სარკმელი საკურთხევლისა განხურეტილ-არს აღმოსავლეთით კერძო რაოდენიცა სიზრქე აქუს კლდესა მას, და მუნით მიიღებს ნათელსა საკურთხეველი ესე, და სრულიად ეკკლესია კარისაგან. გვერდით ეკკლესიისა ამის არიან ორნი სენაკნი ოთხ-კუთხედნი ფრიად კანონიერად გამოკუეთილნი ჭერით, კარებით, თაღჩებით, და სარკმლებით. ეგრეთვე

---

თაცა ძმათა მის სავანისათა შედგომილთა მაგალითსა ძველთა მათ მამათასა, შემდგომად პოვნისა რაოდენისამე წლისა დაკრძალიან იგი მისვე ეკკლესიასა საიდუმლოსა ადგილსა შინა, რომელიცა არა ყოველთა იცოდიან, გარდა უხუცესთა ძმათა კიდე, და დღესასწაულსა ამის წმიდისასა გამოიღიან ამბორის საყოფელად და კვალად დაკრძალიან. ხოლო 1857 წელსა შინა კვალად აიკლეს მონასტერი ესე ლეკთა, დააქციეს ლუსკუმა წმიდისა დავითისა, და განძარცვესრა წმიდა ტრაპეზი წმიდისა ამის ეკკლესიისა, ჰპოვეს ქვა ესე ქვეშე ტრაპეზისა მდებარე ყუთსა შინა და წარიღეს ესეცა სხუათა დანაშთენთა საეკლესიოთა ნივთთა თანა, და წარიყვანეს ტყუედ მღუდელ-მონოზონი მიტროფანე და ორი მორჩილი, და მისრულთა სახლთა შინა მათთა, ერთმან მათ ლეკთაგანმან აღმოიღო ჯიბით ხსენებული ქუა იგი და შედო ჭერში, და იხილა ესე ხსენებულმან მან მიტროფანე და დაიხსოვა, და შემდეგ რაოდენისამე ჟამისა განთავისუფლდა რა დახსნით ტყუეობისაგან, მოიპარა ქუა იგი ჭერისა მისგან და მოიტანა მონასტერსა მას შინა, და აწცა იპოების მუნ.

ზემორე ამათსა მასვე კლდესა შინა (5) არს გამოჭრილი მცირე ეკკლე-სია წმიდისა ქალწულ-მოწამისა მარინასი სიგრძით ორი საჟენი სიგანით და სიმაღლით თითო, და მისთანა ერთი მცირე და მეორე დიდი სენაკ-ნი ახლად გამოჭრილნი შვენიერად: ხოლო სხჳანი რაოდენნიმე ძველნი სენაკნი დიდნი და მცირენი სიძველისაგან დამზღჳლეულნი.

ესე ყოველნი ზემოხსენებულნი გამოკჳეთილებანი, წმიდად გალესილ-არიან გაჯით თვინიერ იატაკისა, რომელიცა არს შიშველი კლდე სწო-რედ გათლილი: ხოლო სენაკნი არიან ზაფხულით გრილნი და ზამთრით თბილნი, გარნა არა თვინიერ მცრისა სინოტიისა მქონებელ, და ჰგრძნობ-სცა კაცი მათ შინა მცირესაცა სუნსა რასამე გოგირდისასა, და არცა აქჳსთ სენაკთა მათ ფეხნი, გინა ბუხარნი უპოვარებისაგამო შეშისა.

თუმცა ურწყულ-არს უდაბნო ესე, ვითარ იგი სხჳანიცა, გარნა მცი-რად შეხჳდების მუნ ნაკლულევანება წყლისა, არათუ დიდსა უწვიმრობასა შინა, ვინადგან არს მუნ დასავლეთის მთის ძირსა გამოკჳეთილსა ქჳაბ-სა შინა მცირე წყარო, ცრემლის წყაროდ სახელდებული, რომლისაგან-ცა შესაძლო არს აღმოვსება საათსა შინა კნინღა ერთის ბუტილკისა: გარ-და ამისა არიან მუნ, ვითარ იგი, სხჳათაცა მონასტერთა შინა, ძირთა-თანა კლდეთასა, და თვით კლდეთაცა ზედა აღმოკვეთილნი ვრცელნი ლაკვანი (6) ვიდრე ათადმდე და ეგრეთვე ღარნიცა აღმოკვეთილნი მათ-

---

(5) თვით კლდეთა ამათ შინა იხილვებიან შეგუამებულად კლდესათა-ნა მომსხონი თეთრნი ლოკოკინანი გაქჳაებულნი: გარდა ამისა მასვე მო-ნასტრის კლდესა შინა პოვნილ არს გაქჳაებული ძვალი ცხოველისა, ხერ-ხემლის ერთი სახსარი, რომელიცა აქჳნდა დაცულად მასვე მონასტრის ძმათაგანსა: ვგონებ არა სხჳასა რასამე წარმოაჩენენ ესენი, გარნა ოდენ ყოვლისა სოფლისა წარღჳნისა ყოფასა ქჳეყანასა ზედა, მოწმობისა-მებრ საღმრთო წერილისა, ვინადგან კლდენიცა იგი მთათანი ყოველნი არიან ფერით მოყვითლონი მსგავსნი ქვიშისანი.

(6) ლაკვა არს ჯურღმული, გინა ჭაა, პირ ვიწრო და ძირ ფართო.

ვე კლდეთა ზედა სხჳა და სხჳა გზით მომართულნი პირთა თანა ლაგჳა-თასა, რომელთა მიერ აღივსებიან ლაგჳანი იგი ჟამსა დიდისა წჳმიანობისასა, და დაცულ არიან იგინი მათ შინა მრავალ ჟამ გრილად და დაწმენდილად, და არა გინიხრწნების დიდთაცა სიცხეთა შინა, და ხმარობენ მათ მუნ მცხოვრებნი ძმანი, ვითარცა სასმელად, ეგრეთვე საჭმელთა და სხჳათა სახმართათჳს.

იტყჳს უფალი არხიდეკტური ლიპარტი თვისსა მცირესა ნუსხასა შინა სავანისა ამისთჳს ესრეთ: « განიხილვებისრა დროჲ, მოთმინება და წი-
« ნათ დანახჳაჲ რომელთაცა მოითხოვდენ ესოდენ დიდნი მუშაკობანი
« განვრცელებისათჳს ამა სასულიერო დაწესებისა ადგილთა შინა მოკლე-
« ბულთა ყოველთა საჭიროებითთა ღონისძიებათა შენობისათა, ესე იგი,
« ხისა და წყლისა; მტკიცედ გაბედვისათანა დასაპყრობელად ამა ადგილი-
« სა, დაშთებოდა ერთი ღონისძიებაჲ, გამოკჳეთა კლდეთა შინა თავთა
« თვისთა სადგურისა, რომელი ესე ქმნილ-არს მცირედ მცირედ, რომლისა
« დამამტკიცებელ არიან აღრითგანნი სადგურნი, ღრმად სიძველისა წარმო-
« მაჩინებელნი; კლდეთა ზედა იხილვებიან ჯერეთცა ნაცემნი წერაქჳთანი,
« რომელნიცა გამოკჳეთილ-არიან წერაქვებითა და იარაღებითა, და არა
« თოფის-წამლითა, და გამოჭრილ არს მათ შინა კლდე, ეკლესიათა, სე-
« ნაკთა კართა, სარკმელთა და თაღჩათაგან 437 კუბიჩესკი საჟენი. ამათ
« კლდეთა შინა კეთილ კელოვანი ქვის მჭრელი შეიძლებდა წერაქვით გა-
« მოჭრასა დღესა შინა ნახევარ ადლისა ოდენ კუბიჩესკის საჟენისასა, და
« მასცა არა ყოველგან: ხოლო აღრიცხვითა ამით საჭირო იყო 22,140
დღე საწარმოებელად ესე ვითარისა მუშაკობისა; ჰსჩანს რომელ უმეტესი
« ნაწილი შრომისა ამის წარმოებულ-არს თვით მონოზონთაგან. » (7)

---

აღრიცხვისამებრ უფლის არხიდეკტორის ლიპარტისა, შესაძლებელ არს რათა დაიტიონ ექუსთა ლაგჳათა ცხრითგან ვიდრე ათადმდე კუბიჩესკი საჟენი წყალი.

(7) მართლად შენიშნავს უფალი არხიდეკტორი, რომელ თვით სავა-

თუმცა ურწყულ და უნაყოფო არს უდაბნო ესე, გარნა შრომის-მოყვარებითა მუნებურთა ძმათათა, დანერგილ-არიან ჴენი ჴილთანი, ეგე ვითართა ადგილთა, სადაცა უხჳად მოხჳდების ღჳარი წვიმისა ვითარცა მონასტერსა შინა, ეგრეთვე გარეშე მონასტრისაცა, და მოსცემენ იგინი სანუგეშოდ რაოდენსამე ნაყოფსა, ვითარ იგი, ყურძენსა, ლეღჳსა, ნუშსა, კაკალსა, ხართუთასა და ჭერამსა, და უკეთუ არს ნოტიო წელიწადი, იროგებენ ბოსტნეულებითაცა.

---

ნისა მის მონოზონთაგან არიან ნაშრომნი დიდნი იგი გამოკვეთილებანი, ვითარ იგი სხჳანიცა სავანენი თვის თვისთა მკვიდრთაგან, რომლისა მოწამე არიან თვით საკუთარნი დრო და თჳალნი ჩემნი. რამეთუ ზემო ხსენებულნი იგი მესამისა მის ნაწილსა შინა ამა მონასტრისასა მყოფნი ღჳთის-მშობლის მიძინების ეკლესია, და მისთანა ორნი იგი სენაკნი გამოჰკჳეთნა თვით კელითა თვისითა შეწევნითა ძმათათა და სრულ-ჰყო, უდაბნოსა მას შინა აღზრდილმან, მტკიცედ მცჳელმან მონოზონებითისა ცხოვრებისამან, იეროდიაკონმან იოსტოს, ნათესავით მცხეთელმან, ხოლო გჳარით მრევლიშვილმან წელსა 1812-სა რომელისაც შემდგომად სრულ ყოფისა და კურთხევისა, წარვიდა იერუსალიმად და მოილოცნა წმიდანი ადგილნი, და მუნით მოქცეულმან კოსტანტინუპოლედ ივადრა შესლჳა ეზოსაცა აიასოფიისასა სურვილითა ხილვისა მისისათა, სადაცა თავსისხნა თურქთაგან მრავალნი გინებანი და გვემანი; მიერითგან მოიქცა ოდესად, ხოლო ოდესით როსიად დიდსა მოსკოვსა შინა, სადაცა მოილოცნა წმიდანი მონასტერნი და ნაწილნი წმიდათანი, და მუნითგან მოვიდა სანკტპეტერბურღად ლავრასა შინა წმიდისა ალექსანდრე ნეველისასა და თაყჳანისცა წმიდასა სამარხოსა მისსა წელსა 1821, დეკემბრის 13, სადაცა განისჳენა ჩემთანა ორ დღე, და შემდგომად ათხუთმეტისა დღისა მოიქცა ქართლადვე სავანესა შინა თვისსა და აღესრულა მუნ 1832 წელსა, და დაეფლა გარე, წინაშე კარისა თვისგან გამოკვეთილისა მის ეკლესიისა.

ხოლო წესი, ტიბიკონი და ეკკლესიური კანონი ეპყრათ, და უპყრიესთცა მთისა წმიდისა, ვითარცა სავანისა ამის მკვიდრთა, ეგრეთვე სხჳათაცა მონასტრისათა მტკიცედ და უცჳალებელად, და აქჳნდათ მესენაკეობა, მარხჳა და მოღჳაწება მსგავსი სკიტელთა მამათა; ხოლო ცხოვრება და მოქალაქობა ზოგად ცხოვრებულთა მონასტერთა, რამეთუ გარდა საკუთართა სენაკის მოღჳაწებათა და ხელთ-საქმართა, თვით მონოზონნი იღჳწიდენ საზოგადო საკრებულო საქმეთა თჳს; თვით ზიდვიდეს ზურგით ფიჩხსა შორიელთა ადგილთაგან სახმარად მონასტრისა, თვით აცხობდენ პურსა და თვით მზვარეულობდენ თვის-თვისთა რიგთა შინა წადიერად და გულს-მოდგინედ, და იყო მათ შორის ფრიადი შიში, კრძალულება, მყუდროება, მდუმარება, სიყჳარული და მორჩილება, ეგრეთ რომელ ერთი ერთსა უსწრობდიან მორჩილებისა და სათნოებისა მიმართ; ვინადგან სიძველე სავანეთა მათ, და მათ შინა ცხოვრებულთა ძველთა მამათა ღჳაწლნი და სათნოებანი, ეგრეთვე მდებარეობა და სიმწირე ადგილთა მათ, თვით აიძულებენ და ასწავებენ ღჳაწლსა მონოზონებისასა; და კვალად მყუდროებაცა და დაწყნარებულება უდაბნოთა მათ, არა მცირედ თანა შემწე ეყოფიან სათნოებათადმი განღვიძებისა და ღჳაწლთა სწავლულებისა, სადაცა ვერ განიცდიან თჳალნი უშვერსა და გულის-სათქმელსა რასამე, ხოლო სასმენელნი ყოვლითურთ უცხო არიან მსოფლიურთა შფოთთა და ამბოხებათაგან, უმეტესადრე ღამით, ოდესცა არა ისმიან მუნ სრულიად არა რაჲმენი კმანი, არცა თუ მცირეთა მგალთა და ჭუათა ჭრიჭინვანი, და ფლობს მყუდარი დუმილი, და მთავრობს ნათელ მფენელი მთოვარე, მაშინ მყუდროებით შეჭმბული გონება მუნ მცხოვრებისა მონოზონისა აღტყინებულ-არს სახმილებრ საღმრთოთა ტრფიალებითა, და მით შემწჳტლი გარეშეთა მსოფლიურთა მძლავრებითთა გულის-თქმათა, და მივრდომილი შიშველსა იატაკსა ზედა კარსათანა სენაკისა თვისისასა, გინათუ გარე ყურესა რასამე კლდისასა, აღავლენს იგი მხურვალეთა ლოცჳათა ვითარცა პირის-პირ განმცდელი, თვით უხილავისა არსებისა, დამომადინებელი ცხელთა წყაროთა ლმობიერებისათა, და განჭჳსცხრების სადმრ-

თოთა ხედვითა, და ზეციერთა საქმეთა განზრახვითა და გულის-ხმისყოფითა, რომელსა არავინ უვის მოწამე, არცა მზირალ დ'ფარულთა ღუაწლთა მისთა, თვინიერ ყოველთა მხედუელისა თუალისა, და ესე ვითარითა სათნოებითა დამტკბარი, ვითარცა ფუტკარი ნაშრომსა ზედა თვისსა, განწმენდილი სვინიდისით და მოხარული სულითა ითმენს ყოველსავე ნაკლულევანებასა და სიფიცხლესა უდაბნოსასა მოუწყინებელად, და ისწავებს მონოზონებითსა ღუაწლსა და სათნოებასა, ძალითი ძალად სლვითა ღუთისადმი მიახლებასა; რომლისათჳსცა მრავალნი ღირსნი და სასწაულთმოქმედნი მამანი გამობრწყინდეს უდაბნოთა მათ შინა ძველთა დროთა, და ახალთაცა შინა, რომელთაცა თვითოეულად მოხსენებასა არა საჭიროდ ვრაცხ მე, ვინადგან აღწერილ არიან იგი ყოველნი ცათა შინა თვითოეულად, და წიგნსაცა შინა ჯვარშემოსილად სახელდებულსა.

ხოლო რიცხვი მონოზონთა მათ შინა მცხოვრებელთა არა იყო განსაზღურებულ, ვინადგან არა ყოფილ-არს ვიდრე აქამომდე შტატით დაწყობილება საქართველოს მონასტერთა შინა, არამედ დაუბრკოლებელად და სიხარულით მიღებულ-იქმნებოდენ მხურვალედ მოსურნენი მონოზონებისანი და აღრიცხულ-იქმნებოდენ რიცხუთა შორის კრებულთასა, გარნა არა თვინიერ გამოძიებისა და სამ წელ გამოცდისა მორჩილებასა შინა წესისაებრ მონასტრისა, და ამისგამო არა მცირე იყო კრებული ძმათა უდაბნოთა შინა: რამეთუ მახსოვან მე უდაბნოსა ამას შინა მახლობელთაცა ჟამთა, ვიდრე ოცდა შვიდამდე ღირსნი და პატიოსანნი მამანი: ხოლო არიან აწ მუნ შტატით ერთი წინამძღუარი, სამი მღუდელმონოზონი, ერთი მთავარდიაკონი და ორი მორჩილი.

ხოლო ესეცა საუწყებელ-არს, თუ სადით მოიღებდენ საზრდელსა და სამოსელსა ეგეოდენნი სულნი, ეგე ვითართა უნაყოფოთა და მწირთა ადგილთა შინა? გარნა ყოველსა შინა და მარადის უზრუნველ იყუნენ იგინი და გარდამატებით კმაყოფილ. რამეთუ ვინადგან დიდად ესვიდენ და სწყალობდენ მათ მეფენი საქართველოსანი, ამისთჳს აქუნდათ მათგან თვითოეულსა მონასტერსა შეწირულ ყმანი და მამულნი, ვენახნი და აგა-

რაკნი საშენებლად მათდა და საცხოვრებლად ძმათა, რომელთაცა განაგებდენ წინამძღუარნი, და უზიდვიდენ ძმათა საზრდელსა თვის თვისთა სოფლებთაგან მონასტრის ყმათა მიერ, და ზრდიდენ მათ ვითარცა მფრინველნი მართვეთა თვისთა. ხოლო სამოსლისათჳს (8) აქუნდათ წყალობა ყოველ წლივ უკანასკნელთა კეთილ-მსახურთა მეფეთაგან ირაკლისა და გიორგისაგან, ვითარცა მონასტრისა ამის ძმათა, ეგრეთვე ძმათაცა ნათლის-მცემლის უდაბნოსათა ოც და ხუთ ხუთი თუმანი. გარდა ამისა, თათარნიცა ყაზახ ბორჩალოსანი, რომელნიცა აძოებდენ პირუტყუთა თვისთა გარემოს ადგილთა ამათ მონასტერთასა, კაცობრიობით და წყალობის ყოფით განღვიძებულნი პატივსცემდენ და მსახურებდენ მონასტერთა მათ ახლის თევზით, ყველით, ერბოთი, მატყლით და სანთლის ქონით შეძლებისა და ნებისაებრ თვისისა: ხოლო ძმანი ყოველნი, ამათ ყოველთა სახმართა თჳს ზრუნვათაგან თავისუფალნი, შეყოფილ-იყვნეს მხოლოდ ოდენ ეკკლესიურსა ღმრთის-მსახურებასა, წიგნის კითხვისა, გალობისა, წერისა და ჴელთ-საქმარისა სწავლულებასა, და მონასტრულსა მორჩილებასა, ღვაწლსა და შრომასა, და შუენიერსა მონოზონებითსა მოქალაქობასა.

ამათ ზემოხსენებულთა ყმათა და მამულთა და სხუათა სარგებლობათა ჰფლობდენ თვის თვისთა საკუთართა აწ დაშთომილნი მონასტერნი, ვითარცა მკვიდრნი მეპატრონენი ვიდრე 1818 წლამდე; გარნა ამას წელსა შინა ჩამორთმეულ და შეერთებულ-იქმნენ საქართველოს საეკკლესიოსა საზოგადოსა შემოსავალსა თანა, ჟამსა განსუენებულის საქართველოს ექსარხოსის თეოფილაკტესსა, და მათ ყოველთა წილ მიეცათ ჯამაგირები საცხოვრებლად ძმათა აწინდელთა მონასტერთასა; წინამძღუარს 300 რუბლი, მღუდელმონოზონს 70 რუბლი, მთავარდიაკონს 60 რუბლი, და მორჩილს 50 რუბლი. და ჰსცხოვრებენ ეგ სახედ, ვითარცა სასყიდლით დადგინებულნი.

---

(8) სამოსლად ემოსათ ძმათა ყოველთა არა სხუა რაიმე, გარნაოდენ შალის ჩოხა, და კუართი შალისავე გინა ხამისა და სარტყელი ტყავისა ხოლო ზამთრით ხალენიცა ცხვრის ტყავისა.

ამავე მონასტრის მთის მეორესა გვერდსა შინა, რომელიცა ხედავს დასავალით კერძო მდინარესა მტკუარსა, არს ერთი ათორმეტთა მათ ძველთა მონასტერთაგანი, წამებულად წოდებული, რომელი აღოხრდა თათართაგან 17-სა საუკუნესა შინა, ჟამსა უსჯულოსა სპარსთა მეფისა შახაბასის საქართუჱლოდ მოსლვისასა, თვით საუფლოსა დღესა ქრისტეს აღდგომისასა, ჟამსა მას, ოდესცა აღასრულებდენ საღმრთოსა მსახურებასა ეკკლესიათა შინა, რომელთა შინა მოისრნეს პირითა მახვილისათა მკვიდრნი მის უდაბნოსანი. თუმცა დამზღჳლეულ-არს უდაბნო ესე სიძველისა და უმკვიდრობისაგამო, და უმეტესი ნაწილი მისი ნამზღჳლევთაგან დაფარულ, გარნა კუალად იხილჳჳიან მას შინა დიდნი გამოკვეთილებანი კლდეთა შინა პალატნი, სენაკნი და ეკკლესიანი მხატრობითურთ, სადაცა ერთსა მცირესა ეკკლესიასა შინა ვიდრე აქამომდეცა იხილვების, და ცხადად ღაღადებს წმიდათა მათ მოწამეთა სისხლი დათხეული ხარისხსა ზედა საკურთხეველისასა გვერდით წმიდისა ტრაპეზისა. ხოლო წმინდათა მათ მოწყვედილთა მამათა დატევებულნი მიშველნი ძუალნი, შემდგომად რაოდენისამე ჟამისა შეკრებულ-იქმნენ და დასხმულ მთასა მას ზედა, თავსა მის მონასტრისასა მცირესა ეკკლესიასა შინა, განგებ მისთჳს აღშენებულსა, რომელთაცა თხემისა და მკლავისა ძუალთა ზედა იხილვებიან ნაცემნი მახვილნი უსჯულოთანი. ამათსა ხსენებასა აღასრულებს საკუთრითა აკოლოთიითა ქართუჱლთა ეკკლესია ბრწყინვალესა შვიდეულსა შინა, რომელსაცა დღესა ენებოს ეკკლესიარხსა.

(შემდეგი იქნება.)

# მოთხრობა ხელით-უქმნელის ხატისათჳს უფლისა ჩუენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესა. (*)

ოდეს იშვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე, მას დროს, გარდა სხუა და სხუა სახელმწიფოებისა, რომაელთ ბძანებლობის ქვეშ იყო მთელი პალესტინე, ასურასტანი, შუა-მდინარე (მესოპოტამია), სომხითი, და ამ ქვეყნების მეფენი აძლევდნენ მათ ხარჯსა. თხუთმეტმა წელმა რომ განვლო ქრისტესშობითგან, მაშინ მთავრობდა სომხითში არშამის შვილი ავგარ, რომელსაც სატახტო ქალაქად ჰქონდა ვალარშაკი. ავგარმა განიზრახა განთავისუფლება თავის სამთავროსი რომაელთა მოხარკეობისაგან და ამისთჳს ერთს შუამდინარის მხარეს, მახლობელ ეფრატის მდინარისა, დააყენა ჯარი; ეს ადგილი მას მოეწონა როგორც ბუნებით გამაგრებული და მტერთაგან შეუვალი, აქ აღაშენა ქალაქი სახელით ედესია და დასდვა იგი სამეფო ქალაქად. ეს განზრახვა შეუტყო მარინმა, რომელიც იყო ამ ჟამად დადგინებული რომის იმპერატორის ტიბერიოსისაგან განმგებლად ფინიკიისა, ასურასტანისა და შუა-მდინარისა. ავგარმა, დიდისხნის უძლურებისაგამო სრულიად ქვეშაგებად დაცემულმან, იგრძნო რომ, რომაელნი ამ გვარის მისის ორგულებისათჳს სასტიკად დასჯიან მას, და ამისთჳს წარგზავნა სამნი ჩინებულნი და თავისი მახლობელნი კა-

(*) მართლ-მადიდებელი ეკკლესია ქართველთა წარყვანებასა ედესიიდგან კონსტანტინოპოლს ხელით-უქმნელის ხატისასა დღესასწაულობს ივ-ს აგვისტოს. ხელით უქმნელს ხატს საქართველოში კუალადცა სახელვდებთ ღუთაების-ხატად და პირი-ღუთისად.

ცნი მარინთან, რომელიც იმყოფებოდა ამ დროს ერთს ასურასტანის ქა-
ლაქში მახლობლად პალესტინისა, რათა დაერწმუნებინათ მისთჳს ერთ-
გულობა ავგარისი. როგორც რომ ამ კაცთა, ეს მინდობილი მათზედ
საქმე კეთილად დააბოლოვეს, მაშინ მათ მიესმა ხმა, რომ იერუსალიმ-
ში გამოჩენილა საკვირველთ-მოქმედი კაცი, რომელი გარემოვლის ყო-
ველთა ქალაქთა და სოფლებთა ურიასტანისათა, ჰქადაგებს სასუფეველი-
სათჳს ღ̃თისა, სიტყვითა ოდენ აღადგენს მკუდართა და ჰკურნავს ყო-
ველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა კაცთა შორის. ამის გამგონენი
თჳთ წარვიდენ იერუსალიმს და მუნ იხილეს მაცხოვარი ჩუენი უფალი
იესო ქრისტე და საკუთარითა თვალითა განიცადეს საკვირველნი სასწაულნი,
რომელთა იქმოდა იგი. ედესიიდგან დაბრუნებულთა ყოველი ესე მიუთხრეს
ავგარსა, შეპყრობილსა თავით ფერხამდინ შესაზარებელის და განუკურ-
ნებელის წყლულებითა. ავგარმა, მოისმინა რა ესე ყოველი, მაშინვე ირ-
წმუნა, რომ საკვირველი კაცი იგი ნამდვილ არს ჭეშმარიტი ძე ღ̃თა-
სა და ჰსთქუა: « ამ გვართა სასწაულთა იქმს მხოლოდ ღ̃თაებრივი
ძალი და არა ძალი კაცობრივი, ამისთჳს რომელ მხოლოდ ერთსა ოდენ
ღმერთსა ძალ-უძს აღდგინება მკუდართა ». მსწრაფლ მოიწადინა მან,
რათა თჳთ თვალითა თჳსითა იხილოს უფალი და მიიღოს მისგან კურ-
ნება. რადგანაც უძლურებისა გამო თჳთ ვერ ეძლო წარსვლა იერუსალიმს,
ამისთჳს გაგზავნა კაცნი და წიგნით ჰსთხოვა მაცხოვარსა მოსვლა ედე-
სიად. ამასთანავე ამცნო ერთსა მათგანსა, სახელით ანანიას, დახელოვ-
ნებულს მხატვარსა, გადახატოს სახე უფლისა იესოსი, თუ რომ არ ინე-
ბებს იგი ედესიად მოსვლასა, რათა აქუნდეს ხატი იგი სანუგეშოდ და
სასოდ უძლურებით შეპყრობილს ავგარს.

წიგნი იყო ესრეთ დაწერილი:

« ავგარ, ძე არშამისა, მთავარი ედესიისა, იესოს მაცხოვარს და კეთი-
« ლის-მყოფელს, იერუსალიმში ხორცით გამოჩინებულსა, გიხაროდენ »!

« მე მსმენიეს შენთჳს და კურნებათათჳს შენთა, რომელთა იქმ თჳნი-
« ერ ყოვლისა წამლობისა და ბალახების ძირთა; შენის ბრძანებით ბრმანი ხე-

« დვენ, მკელობელნი (კოჭლნი) ვლენან; განსწმედ კეთროვანთა; განასხამ
« სულთა ბოროტთა; მრავალთა წელთა სარეცელსაზედან მდებარეთა გან-
« რღვეულთა კურნავ სიტყუჱთაოდენ და აღადგინებ მკუ̂დართა. მსმენელი
« ამა ყოვლისა, მე გონებაში წარმოვიდგენ ორს რასმე: ანუ ხარ შენ
« ღმერთი გარდამოსრული ზეცით, სრულ ყოფისათჳს ამა ყოვლისა; ანუ
« ხარ ძე ღუ̂თისა, რამეთუ იქმ ესეოდენთა საკვირველთა სასწაულთა. აი
« რისთჳს მოგიწერ შენ ამას და ვედრებით გთხოვ კეთილ ინებოთ მობ-
« ძანება ჩემთან და განჰკურნოთ განუკურნებელი სნეულება ჩემი, რომელ-
« საც მრავლის ჟამიდგან შეუპყრივარ მე. კვალადცა მასმიეს, რამეთუ ჰური-
« ანი გდევნიან და ეძიებენ ბოროტი რამე შეგამთხვიონ შენ: მე მაქუ̂ს,
« თუმცა მცირე ქალაქი, გარნა მშვენიერი და შემკული ყოვლითა კეთი-
« ლითა; მოვედ ჩემთანა და ვიყოფოდეთ ორნივე ერთად ».

მაცხოვარმან, რომელიც იხილეს ავგარისგან გაგზავნილ კაცთა იერუ-სალიმში, არა ინება წარსვლა ედესიად, არამედ მიუწერა ავგარს შემდგო-მი ესე წერილი:

« ნეტარ ხარ შენ, ავგარ, რამეთუ არ გინახვივარ და გრწამვარ! ესრეთ
« წერილ არს ჩემთჳს:—« რომელთა მიხილონ მე მათ არა ჰრწმენე; ხო-
ლო რომელთა არა მიხილონ და ჰრწმენე, მათ დაიმკვიდრონ ცხოვრება
საუკუნო ».

« მომიწერ მე შენთან მოსვლასა:— ჩემდა ჯერ-არს პირველ აღვასრუ-
« ლო აქა ყოველი იგი, რისთჳსაც მე მოვლინებულ ვარ; და ოდეს სრულ
« ვყოფ საქმესა მაშინ აღვალ მისდამი, ვინც მომავლინა მე; და ოდეს
« აღვალ წარმოვგზავნი შენთან ერთსა მოწაფეთაგანთა ჩემთა, და მან
« განგკურნოს შენ სნეულებისაგან, რომლითაც შეპყრობილხარ და მოგა-
« ნიჭოს შენ და ყოველთა შენთანა-მყოფთა ცხოვრება საუკუნო ».

მხატვარმან ანანიამ, ჰსცნა რა რომელ უფალმან იესომ არ ინება წარ-სუ̂ლა ედესიად, მაშინ მოინდომა მან იდუმალ გადმოხატუ̂ა მისის სახი-სა, გარნა ვერას ღონისძიებით ვერ შეიძლო ესე, ამისთჳს რომელ იგი, ვის არა დაეფარვიან გულის-ზრახუ̂ანი კაცთანი იცვლიდა თავსა თჳსსა პირად-პირადად. მაშინ მოუწოდა უფალმან ანანიას, იმის თვალ წინ

წყლით დაიბანა ყოვლად წმიდა და საღმრთო პირი თჳსი და შეიწმინდა იგი ოთხ-კეცად შეკეცილის ტილოთი, რომელზედაც მაშინვე საკვირველად გარდამოისახა სახე მისი და წარუვლინა იგი ავგაროზს, სურვილისამებრ მისისა, და ამასთანავე ზემო მოხსენებული წიგნიცა.

ავგარმა დიდის სიხარულით მიიღო ხელით-უქმნელი ხატი ესე ცხოველს მყოფელისა პირისა ქრისტესისა, და როგორც რომ სიყჳარულით და სასოებით ემთხვია მას, მსწრაფლ განიკურნა იგი სნეულებისაგან.

შემდგომ მკჳდრეთით აღდგომისა და ზეცად ამაღლებისა უფლისა იესოსი, მოვიდა ედესიად ერთი სამეოცდა ათთა მოწაფეთა მისთაგანი თადეოს, ვითარცა აღუთქვა მაცხოვარმან ავგარს, განსწავლა იგი წმიდის სარწმუნოებითა, ნათელს-სცა ყოვლის სახლეულობითა და მით მიანიჭა მას სრული კურნება სულისა და ხორცთა. (*)

ქალაქში შესავალსა გალავნის კარებზედ, ედესელთ, ადრის-ჟამიდგან, აღემართათ კერპი, რომელსაც თაყჳანსა-ჰსცემდენ ყოველნი ქალაქად შემავალნი. ავგარმა ბრძანა გადმოღება ამა კერპისა და შემუსრვა მისი, და ნაცჳლად მისა მაღლა კედელში გამოაჭრევინა კამარა (თახჩა), მუნ დაასვენა მდიდრად შემკული ოქროთი და მარგალიტითა ხელით-უქმნელი ხატი მაცხოვრისა და დასწერა კედელზედ სიტყჳანი ესე: « ქრისტე ღმერთო, რომელი გესვიდეს შენ, არა სადა დავარდების ».

განვლო რაოდენმე წელმან ავგარის გარდაცვალებიდგან და მთავრობა ედესიისა მიიღო კაცმან ვინმე ურწმუნომან და ქრისტიანეთა მოძულემან. მან მოიწადინა შემუსრვა ბრწყინვალისა მის ხატისა და მის წილ აღმართვაჲ კერპისა. ჰსცნა რა ეპისკოპოსმან მის ქალაქისამან ბოროტი ესე

---

(*) ყოველსა ამას, ესე იგი: ავგარის უძლურებასა, მაცხოვართან წიგნის მიწერას დ კაცების გაგზავნასა, მაცხოვრისაგან ავგართან პასუხად წიგნის მიწერასა და ედესიად თადეოსის მოსულასა, მოიხსენიებს ევსევი ეპისკოპოსი კესარია პალესტინისა თავის საეკკლესიო ისტორიაში (წიგ. 1. თავ. 13), და ამასთანავე იტყვის, რომ ესე ცნობანი მე აღმოვწერეო ერთის ძველის წიგნისაგან, რომელიც ვპოვე ედესიაში, და რომელ წიგნშიაც ჩაიწერებოდნენ ყოველნი საქმენი ძველისძველად მომხდარნიო.

განზრახვა მთავრისა, მოვიდა ღამე სახატესთან, წმიდის ხატის წინ დადგა აღნთებული კანდელი და ამოაშენებინა სახატე. ამ გვარად დაფარული ხელით-უქმნელი ხატი იგი ესვენა მუნ კაცთაგან დავიწყებული, ვიდრემდის თჳთ გამოეცხადებოდა თაყვანისმცემელთა თჳსთა, შემდეგ განვლისა მრავალთა წელთა. (*) ესე იქმნა ესრეთ:

ფმ-სა წელსა (540) ქრისტეს შობიდგან, სპარსთა მეფე ხვასრო 1 ნუშრევანი, ჟამსა მეფობისა იუსტინიანესსა საბერძნეთში, დაეცა შუამდინარის ქუეყნებს, ჯარით გარე შემოადგა ედესიის ქალაქს და მით მისცა მცხოვრებნი დიდს შევიწროებას. ოდეს მწუხარე ეპისკოპოსი ამა ქალაქისა, სახელით ევლავიოს, ცრემლით ევედრებოდა ღმერთსა მტერთაგან დახსნისათჳს; მაშინ ჩუენებით იხილა მან დედაკაცი ვინმე ბრწყინვალე, რომელიც თითით უჩვენებდა გალავნის კართა და მათ ზედან ადგილსა სახატისასა და ეტყოდა: «მუნ არს საიდუმლოდ დაცული ხელით-უქმნელი საღმრთო ხატი ქრისტე მაცხოვრისა, გამოიღე დახშულებისა მისგან და იყოს მადლი ღმრთისა თქუენზედან». ნაჩვენებს ადგილს ევლავიოსმან ჭეშმარიტად ჰპოვა ყოვლად-წმიდა ხატი უფლისა მთელი და უვნებელი და წინაშე მისსა კანდელი მნთებარე, და ამასთანავე იხილა ფიცარსაზედან, რომელი წინ აეფარებინათ ხატისათჳს ჟამსა მისის კედელში დახშვისა, გამოხატული ეგრეთვე სხუა ხელით-უქმნელი სახე ქრისტესი, სრულებით მსგავსი პირველისა. ეპისკოპოსმან, გამოასვენა რა სახატიდგან წმიდა ხელით-უქმნელი ხატი და უჩვენა იგი მცხოვრებთა ქალაქისათა, მათ შექმნეს დიდი სიხარული, წინ წაიმძღვარეს ბრწყინვალე ხატი და შემწირველნი ღმრთისა ქებისა და მადლობისა, გალობით და ლიტანიობით მოვლიდნენ ქალაქსა. ამის მხილველნი სპარსნი მსწრაფლ აიყარნენ და უკუნ-იქცნენ. ესრეთ, მოწყალებითა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა-

(*) ევსევი თავის საეკკლესიო ისტორიაში ამ ხელით-უქმნელის ხატისათჳს არას ამბობს, მის მიზეზისაგამო, როგორც რომელნიმე ჰგონებენ, ვითამც იგი ყოფილიყოს ამ ჟამად ედესიაში და თჳთ ამოეშენებინოს სახატე. ევსევი ჰსცხოვრებდა IV საუკუნეში.

თა და გამოცხადებითა ყოვლად წმიდისა ხელით-უქმნელისა ხატისა მისისათა, ქალაქი ედესია განთავისუფლდა მტერთაგან.—

ვიზანტიის იმპერატორმან რომანოზ, შკე-სა წელსა (925) ქრისტეს შობიდგან, მოიწადინა წარმოყჳანა ედესიიდგან კონსტანტინოპოლს ხელით-უქმნელის ხატისა,—ამ უძვირფასესის ქრისტეანეთათჳს საუნჯისა. გარნა რადგანაც ამ ჟამად შჳამდინარე, სადაც იყო ქალაქი ედესია, ეპყრათ სარკონოზთა, (*) მაშინ ქალაქის მცხოვრებთა ჰსთხოვეს ამირას (**) არ დანებება ხატისა. რომანოზმა, რომელსაც ჰქონდა დიდი სურვილი ამ სიწმიდის მოპოებისა, ისე დააბოლოვა ეს საქმე, რომ ამირას მისცა თორმეტი ათასი ვეცხლი (***), და დაუბრუნა ორასი კაცი სარკინოზი, რომელნიც ტყვედ ჰყვანდათ ბერძენთა, და მან მოსცა ხელით-უქმნელი ხატი. რომანოზმან წაასვენა იგი დიდის დიდებით სამეუფო ქალაქს—კონსტანოპოლს და დაასვენა ღჳთის-მშობლის ეკკლესიაში, რომელსაც ფარედ სახელსდებენ და ამიერიდგან იქმნებოდნენ კონსტანტნოპოლში ყოვლად-პატიოსნისა მის ხატისაგან მრავალნი სასწაულნი: მადლითა მისითა ყოველგვარნი უძლურნი განიკურნებოდნენ, ბრმათა აღეხილებოდათ თვალნი, ყრუთა ესმოდათ და ეშმაკნი განიდევნებოდნენ.

ზემოთ ვახსენეთ, რომ 540 წელსა, ჟამსა იუსტინიანე ბერძენთ მეფისა და ხვასრო სპარსთა მეფისა, ეპისკოპოსმან ევლავიოს, ზეგარდამო ჩვენებით, ჰპოვა ხელით-უქმნელი ხატი მაცხოვრისა. ისიცა ჰსთქვით, რომ ფიცარზედ, რომელიც წინ აფარებული ჰქონდა ამ ხატს, იმაზედაც გამოხატულ-იყო სხჳა სახე და მგზავსება წმიდისა მის საუფლოსა ხა-

(*) სარკინოზად უწოდებდნენ არაბთა, რომელნიც ელად იდგნენ მწირს არაბიაში ჩრდილოეთისკენ და დიდხანს ებრძოდენ ვიზანტიის იმპერიასა, ანუ საბერძნეთსა.

(**) ამირა—მმართებელი ანუ განმგებელი რომლისამე მხრისა, დადგინებული სარკინოზთა ხალიფასაგან; ხოლო ხალიფად იწოდებოდნენ მაჰმადის მემკვიდრენი გინა მონაცვალენი.

(***) ერთი ვეცხლი იპყრობდა ჩვენებურს ხუთს მანეთს ფულსა.

ტისა; ეს მეორე ხატი ესვენათ ნესტორიანთ ერთს ეკკლესიაში. (*)

საქართუჱლოში, ფარსმან მეექუსის მეფობის დროს, ფმზ-სა წელსა, (547) ქრისტეს-შობითგან, წამოვიდნენ ასურასტანიდგან ივერიაში ათცამეტნი მამანი განსამტკიცებლად და განსავრცელებლად ქრისტიანობრივის სარწმუნოებისა. ერთი ამათგანი იყო ღირსი მამა ანტონი შჳა-მდინარელი; ამან წარმოიღო ნესტორიანთ ეკკლესიიდგან ფიცარზედ გამოსახული ხელით-უქმნელი ხატი, მოვიდა საქართუჱლოში და სადგურად თჳსად აღირჩია მთა აკრიანისა, რომელსაც აწ ეძახიან მარტყოფის მთად ანუ ტუჱდ, სადაც მარტოდ-მყოფმან განატარა ყოველი ცხოვრება თჳსი და შემდგომ სიკუჱდილისა თჳსისა დაუტევა მუნვე ეკკლესიაში ხატი იგი მაცხოვრისა წინდად ცხოვნებისა ქართუჱლთა. საუფლო ხატი ესე ბრწყინვიდა მარტყოფის მონასტერში ვიდრე შემოსვლადმდე საქართუჱლოში ლანგ-თემურისა, რომელმაც თითქმის სრულებით შემუსრა და აღაოხრა წმიდანი ეკკლესიანი და მონასტერნი (**). მარტყოფის წინამძღუარმა, ეპისკოპოსმა გიორგიმ იგრძნო რომ ქრისტეს ჯუარის მტერთა არ გადურჩებოდათ შეუმუსრავად მონასტერიცა მარტყოფისა; ამისთჳს შეშინებულმან დაკარგვისათჳს ხელით-უქმნელისა ხატისა, მან გამოთხარა თახჩა ეკკლესიის კედელში, საიდუმლოდ იმაში დაასვენა წმიდა ხატი და თახჩა აჭქოლა. შემდგომ ამისა მსწრაფლ დაეცნენ მონასტერს ლანგ-თემურის ჯარის კაცნი, სრულებით აღაოხრეს იგი და თჳთ ეპისკოპოსი გიორგიც მოკლეს. თუმცა შემდგენი წინამძღუარნი მონასტრისანი ბევრს ეცადნენ ამ ხატის პოვნასა, გარნა ვერ სადა ჰპოვეს, რადგანაც გიორგი ეპისკოპოსმან, თავის სიცოცხლის დროს, არავის უჩვენა ადგილი სადაც დაჭფარა იგი.

ბატონის შვილი ვახუშტი ამ ხელით-უქმნელის ხატისათჳს იტყვის:

(*) ნესტორიანნი იყუნენ მწვალებელნი. უღმრთო სწავლა ამათი შეაჩვენა მსოფლიო ეფესოს კრებამან ულა-სა წელსა (431).

(**) ჩტპდ-ს წლიდგანა ჩუგ—წლამდის (1384—1403), ლანგ-თემური ექუსჯერ დაეცა საქართველოს და აღაოხრა იგი.

« ღირსმან ანტონიმ დაგვიტევა ხატი იგი საუფლო, და არს ვიდრე დღე-
« ინდელად-დღედმდე უჩინარ, და სასწაულთა მოქმედებს განცხადებულად,
« რომელ უადვილეს არს აღრიცხვა ზღვის ქვიშათა ვიდრე საკვირველე-
« ბათა საუფლოსა მის ხატისათა, გარნა ვინადგან ღმერთი მხოლო არს
« მოქმედი სასწაულთა, მანვე მხოლომან უწყის სიმრავლე სასწაულთა მის-
« თა; და უკეთუ სოლომონცა იყო, ვერცა მან შეუძლოს აღრიცხვად, თჳ-
« ნიერ ღჳ̂თისა მხოლოჲსა ». (*)

ი. სულხანოვი.

---

(*) ქართ. ცხოვრ. ფურც. 158.

# სიტყუა

## დღესა მიძინებისა ყოვლად-წმიდისა ღუთის-მშობლისასა. (*)

« ანგელოსთა მიცუალება ყოვლად-წმიდისა იხილეს და უკვირდათ ვითარ ქალწული აღვალს ქუეყანით ზეცად ».

ესრეთ გვასწავებს ეკკლესია მართლ-მადიდებელთა მიძინებისა-თჳს ყოვლად-წმიდისა ღუთის-მშობელისა.

ჭეშმარიტად, ძმანო, მიძინება ყოვლად-წმიდისა ღუთის-მშობელისა იყო საკვირველი და უდიდებულესი კაცთა ბუნებისა. უფალმან იესო ქრისტემან ადიდა დედაჲ თჳსი დიდითა და აღმატებულითა დიდებითა,—ესრეთ, რომელ არა თუ მხოლოდ შემოკრიბნა ერთსა წამსა მოციქულნი თჳსნი ცისკიდით ჟამსა მიცუალებისა დედისა თჳსისასა, არამედ თჳთ იგი გარდამოხდა ზეცით ქუეყანად, მიიღო ღუთაებრივითა ხელითა თჳსითა ყოვლად-წმიდა სული მისი და—ნაშობი ქუეყანისაგან გამოაჩინა უმაღლეს ხერუვიმთა და სერაფიმთა, და ყოველთა ზეცისა ძალთა, და დაადგინა იგი დედოფლად ანგელოსთა, რომელნიცა განჰკვირდნენ ამას ზედა, ვითარცა გალობს წმიდა ეკკლესია: «ანგელოსთა მიცუალება ყოვლად-წმიდისა იხილეს და უკვირდათ ვითარ ქალწული აღვალს ქუეყანით ზეცად.»

(*) თქმული ქ. ქუთაისს, ღუთისმშობლის მიძინების სობოროში, 15 აგვისტოს 1861 წ.

ნუ დაუტევებთ, ძმანო-ქრისტიანენო, უგულისხმოდ მაგალითსა მას, რომელსა გვიჩვენებს ჩუენ დღესასწაული ესე მიძინებისა ყოვლად-წმიდისა ღუთის-მშობელისა.—უფროს აწინდელსა ამას დროსა, ოდეს საზოგადოებანი ჩუენნი ფრიად შეპყრობილ-არიან ქუეყნიერითა ზრუნვითა და დამონებულ მიწიერისა ცხოვრებისადმი, სასარგებლო-არს ცნობად, რომელ მადლითა ღუთისათა ჩუენ ყოველნი მოწოდებულ-ვართ დიდებისადმი უმაღლესისა ცხოვრებისა ქრისტე იესოს მიერ, და რომელ ყოველნი თანამდებ-ვართ აღსვლად ქუეყანით ზეცად დიდებისა და პატივისადმი,-არა ისრეთისა, რომლითა იდიდა დედაჲ ღუთისა, გარნა ფრიად დიდისა და გამოუთქმელისა. და-კიბე საკვირველისა ამის აღსვლისა ჩუენისა ქუეყანით ზეცად აღეგების ესრეთ, ვითარცა კიბე, რომლითა აღვიდა მუნ დედაჲ ღუთისა.

აღსვლა მისი ქუეყანით ზეცად იწყო დიდებულითა და პატიოსნითა შობითა მისითა წმიდათა და ღუთის-მოშიშთა მშობელთაგან—იოაკიმ და ანნასა, მოხუცებულობასა შინა მათსა, შემდგომად მხურვალისა ლოცვისა და ვედრებისა ღუთისადმი მონიჭებისა-თჳს მათდა შვილისა.

ეგრეთვე, ძმანო, ჩუენიცა აღსვლა ზეცად იწყების შობითა,—გარნა შობითა არა სისხლთაგან, არცა ნებითა ხორცთათა, არცა ნებითა მამაკაცისათა, არამედ ღუთისაგან და სულისა წმიდისა. საიდუმლოსა შინა წმიდისა ნათლის-ღებისასა ჩუენ ყოველთა მივიღეთ ახალი ესე შობა. საიდუმლოსა შინა მირონის-ცხებისასა მივიღეთ მადლი და ძალი ღუთისა აღსაღორძინებელად და განსამტკიცებელად ახლისა ამის შობისა ჩუენისა. ამისთჳს ვისაცა ნებავს აღსვლა ზეცად, იგი თანამდებ არს, რათა დაიცვას სამოსელი სიწმიდისა და უმანკოებისა, მიღებული ნათლის-ღებითა, და განუხრწნელად აქუნდეს ბეჭედი სულისა წმიდისა, მინიჭებული მირონის-ცხებითა, და არა განარისხოს სული წმიდა არა რომლითამე ცოდვითა.

დაწყებული წმიდითა შობითა აღსვლა ზეცად დედამან ღუთისამან განაგრძო და განამტკიცა წმიდითა აღზრდითა. სიყრმით თჳსითგან იგი იყო განშორებულ საზოგადოებისაგან კაცთასა, და იმყოფებოდა ტაძარსა

შინა ღ̂ჳთისასა ლოცჳასა და ვედრებასა, მარხვასა და შრომასა, კითხვასა და გულის-ჴმის ყოფასა შინა საღმრთოჲსა წერილისასა, ვიდრემდის მოიწია ჟამი შობისა მისგან მჴსნელისა ჩ̂ჳნისა, უფლისა იესო ქრისტესა.

ეგრეთვე, ძმანო, ნუცა ჩ̂ჳნ დავშთებით პირველსა მას აღსავალსა კიბესა ზედა, რომელსა ზედა დაგვადგინა ჩ̂ჳნ თჳნიერ ჩ̂ჳნსა მადლმან ღ̂ჳთისამან წმიდათა საიდუმლოთა შინა; არამედ ვიღვაწოთ საქმე კეთილი, აღვიზარდოთ და განვამრავლოთ ცხოვრება სულიერი, ვიდრემდის მივეწივნეთ სრულებასა ქრისტიანობისასა.

ხოლო აღზრდა და განმრავლება სულიერისა ცხოვრებისა იქმნების ესრეთ. ყოვლად-წმიდა ღ̂ჳთის-მშობელი იზრდებოდა მახლობლად ტაძრისა ღ̂ჳთისა, და იყო განშორებულ სოფლიერთა კაცთაგან: და კეთილ-არს მათდა, რომელნიცა ჩ̂ჳნგანნი სცხოვრებენ მყუდროებასა შინა, იფარვენ თავსა თჳსსა სოფლისა შფოთისაგან, და აღიდებენ უფალსა თჳსსა ფარულად ლოცვითა და ვედრებითა, სიმართლითა და სიმშჳდითა, მარხვითა და სიწმიდითა, კითხვითა და სმენითა სულის-მარგებელთა წიგნთა, განზრახვითა და გამოძიებითა გზათა საუკუნოჲსა ცხოვრებისათა. იგინი უადვილესად მიბაძვენ აღსვლასა ზეცად ყოვლად-წმიდისა ღ̂ჳთის-მშობლისასა. გარნა ყოველნი მყოფნი სოფელსა შინა თანამდებ-არიან ცხოვრებად არა მარტო ხორციელად, არამედ უმეტეს სულიერად,— თანამდებ-არიან, რათა მოაკვდინონ ცოდვანი სოფლისანი: სიძვა, არაწმინდება, ნაყროვანება, მთვრალობა, ამპარტავანება, შური, სიძულილი. დიდების-მოყვარება, ურწმუნოება, უშვერი ქცევა, უწესო სიცილი, და სხ̂ჳანი ყოველნი,—და რათა შეიყვარონ ყოვლითა გულითა ჭეშმარიტი ღმერთი და წმიდა ეკკლესია მისი. და არა მხოლოდ ესრეთ, არამედ თჳთ სჯულიერნიცა მოქმედებანი და განზრახვანი ჩ̂ჳნნი უნდა იყვნენ ჩ̂ჳნ შორის ფრიად ზომიერნი, რათა გული ჩ̂ჳნი მარადის იყოს მიქცეულ უმეტეს ღ̂ჳთისადმი, და არა სხვისა რაჲსადმი, ვითარცა გვიბრძანებს წმიდა სახარება: « რომელსა უყვარდეს მამა, ანუ დედა უფროს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყვარდეს ძე, ანუ ასული, ანუ ცო-

ლი, ანუ დაჲ, ანუ ძმა უფროს ჩემსა, არა არს იგი ღირს ჩემდა», — იტ-ყვის უფალი იესო ქრისტე.

ვითარცა აღასრულა აღზრდა თჳსი ყოვლად-წმიდა ღუ̂თის-მშობელ-მან, მაშინ აღვიდა იგი მესამესა კიბესა ზეცისასა, და თჳთცა შეიქმნა ზეცად, ვინაჲდგან უთესლოდ მუცლად იღო და შვა ძე ღუ̂თისა — უფა-ლი ჩუ̂ენი იესო ქრისტე. ესე არს უდიდებულესი და განსაკუთრებითი პატივი მისი, რომლისა მიბაძვა არავისთჳს შესაძლებელჲ-არს. — გარნა კე-თილითა საქმითა და წმიდისა ზიარებისა სასოებით მიღებითა შეგვიძ-ლიან ჩუ̂ენცა მიახლოვება ამისი, ვითარცა გვასწავებს თჳთ უფალი ჩუ̂ე-ნი იესო ქრისტე: «რომელმან ჰყოს მცნება ჩემი, იგი არს ჩემდა დედაჲ, და ძმა, და დაჲ,» «და რომელი ჰსჭამდეს ხორცსა ჩემსა, და სმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგრომილ-არს და მე მისთანა.» —

თუმცა ეგოდენ აღამაღლა ღმერთმან ყოვლად-წმიდა ღუ̂თის-მშობელი, გარნა არა აქეთგან აღვიდა იგი ზეცად; არამედ პირველად მან დაითმი-ნა მრავალნი და საშინელნი ტანჯვანი, მწუხარებანი და გულის-ტკივილ-ნი, უმეტეს მაშინ, ოდეს იხილა ძე თჳსი ჯვარსა ზედა დამოკიდებული ურიათაგან. ამისთჳს ვისაც ნებავს აღსვლა ზეცად, იგი ნუ იფიქრებს, რო-მელ აღვალს ქებითა და დიდებითა, პატივითა და ჩინებითა, ფუფუნებითა და მხიარულებითა; არამედ სიხარულით და მადლობით მიიღოს და დაითმინოს ყოველნი ჭირნი, მწუხარებანი, ნაკლულევანებანი და განსაც-დელნი, მოვლინებულნი უფლისაგან განსაწმედელად ცოდუ̂ათა.

დასასრულ, უკანასკნელი კიბე, რომლისაგან აღვიდა ზეცად ყოვლად-წმიდა ღუ̂თის-მშობელი, იყო სიკვდილი, ვითარცა იტყვის ეკლესიური წერილი: «კიბედ ზეცისა სიკვდილი იქმნების». ამისთჳს, ძმანო, ნუცა ჩუ̂ენ გვეჩვენების სიკვდილი ფრიად საშიშოდ და სამწუხაროდ, არამედ სიხარულით შევეგებნეთ მას, ვითარცა აღსასრულსა ქუ̂ენიერისა მოგზაურო-ბისასა და ჭეშმარიტსა კიბესა სანატრელისა დაუსრულებელისა ცხოვრები-სასა. —

ძმანო! უკეთუ ზემო-თქმულნი ესე დავიმარხნეთ, მაშინ ჩუ̂ენცა უეჭველად

აღვალთ ქუეყანით ზეცად; ხოლო უკეთუ ესე არა დავიმარხნეთ,-მაშინ არა ზეცად აღვალთ ჩუენ, არამედ მივეცემით ქვესკნელსა ჯოჯოხეთისასა, სადა არს მწუხარება და სულთქმა დაუსრულებელი.

უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან აღგვიყვანოს ჩუენ ყოველნი ზეცად, ვითარცა უწყის, მადლითა თჳსითა და მეოხებითა ყოვლად-წმიდისა დედისა თჳსისათა.—ამინ!

მღუდელი გიორგი ხელიძე.

# ს ი ტ ყ ჳ ა

## დღესა დაღისტნის დამორჩილებისასა· (*)

---

« მადლი ღმერთსა, რომელმან მარადის მძლე-ველ გვყჳნის ჩჳენ ქრისტესე იესოს მიერ »
(2 კორინთ. თ. 2, მ. 14)!

დღეინდელსა ამას დღესა ვდღესასწაულობთ ჩჳენ, ქრნო მართლ-მადიდებელნო, დამორჩილებასა ფრიად ველურთა და სასტიკთა ტომთა კავკასიისათა, რომელნი მარადის იყვნენ დაუცხრომელნი მტერნი ქრისტეს ეკკლესიისა და ჩჳენნი,—და ამისთჳს ფრიად შეგვეფერების ჩჳენ წარმოთქმა სიტყჳსათა ამათ მოციქულისათა: « მადლი ღმერთსა, რომელმან მარადის მძლეველ გვყჳნის ჩჳენ ქრისტეს იესოს მიერ».
ჩჳენ ვფიქრობთ, რომელ განათლებული სარწმუნოებითა გონება ქრისტიანისა ვერა ჰპოვებს სიტყჳსათა ამათ შინა ღჳთივ-სულიერისა მწერალისათა ვერა-რასა შეუსაბამოსა და კერპობითსა, ვერა-რასა შესაფერსა მხოლოდ ზოგიერთისა ჩჳენგანისა აზრისა და გულ-წყობილობისასა, თუმცა, იქმნება, არცა არიან ჩჳენ შორის ჭეშმარიტნი აღმასრულებელნი მათნი. აქ არის გამოხატული ის აზრი, რომელ მხოლოდ ღმერთი მოგვცემს ჩჳენ ძლევასა მტერთა ზედა, სულიერთა და ხორციელთა, სარწმუნოებითა ქრისტე იესოსითა, რომელი-

(*) თქმული რუსულად ტფილისის სიონის სობოროში, ექსარხოსის წირვაზედ 25 აგვისტ. 1863 წ.

ცა არის პირველი მშვიდობის-მყოფელი და მაცხოვარი ჩუენი, და რომელ შეუწყვნელად და უკურთხეველად ღჳთისა არა-ვითარი, თჳთ დიდებული და სრული კაცობრივის ფიქრით, ძლევა არა იქმნება მტკიცე და ნაყოფიერი არცა მძლეველთა და არცა დაძლეულთა-თჳს. და ამასა აქუს მნიშვნელობა შესახებელად დღეინდელისა შეკრებულებისაცა ჩუენისა-თჳს. ამისთჳს გა-მოვალთ-რა ეკკლესიის კათედრასა ზედა რაოდენიმე მინუტით უწინარეს დაწყებისა სამადლობელისა პარაკლისისა უფლისა ღჳთისადმი დაპყრობი-სა-თჳს აღმოსავლეთის მხრის კავკასიისა, ჩუენ გვსურს დაყენება და მოქ-ცევა ყურად-ღებისა მსმენელთა ზემო-ხსენებულთა სიტყვებთა ზედა ღჳთივ-სულიერისა მოციქულისათა,—მისთჳს, რათამცა მადლობა ჩუენი ღჳთი-სადმი იქმნეს შეწირულ ლმობიერითა გულითა და სრულითა ცნობითა.— ხოლო დასაყენებელად და განსაღვიძებელად ყურად-ღებისა, საკმაო არს წარმოვიდგინოთ რაოდენიმე შენიშვნა ძველისა და ახლისა მდგომარეო-ბისა-თჳს კავკასიის მხრისა და მყოფადის მოლოდებისა-თჳს ჩუენისა.

ისტორია წელთა და საუკუნეთა, დროთა და ჟამთა ვერ წარმოგვიდ-გენს ჩუენ ისრეთსა განსხუავებასა ადამიანის ტომებისა და ხასიათისასა, ვითარიცა იხილვება მხარესა ამას, კავკასიად წოდებულსა. მდებარეობა ამა ქუეყნისა სრულიად ეთანასწორება მცხოვრებთა მისთა. გონება კაცისა გა-ნიბნევა ფიქრითა, ოდეს მიხედავს საშინელთა კლდეთა და ღრეთა კავკა-სიისათა, რომელნიცა არიან შეწყობილ-მდებარენი ერთი მეორესა ზედა საკვირველად და მიუწდომელად თჳთ დიდად მეცნიერისა ქუეყნის ბუნე-ბის გამომეძიებელისა გონებისა-თჳსცა.

ესრეთივე საკვირველება იხილვება აქაურთა მცხოვრებთა შორის. დანა-შთენნი მრავალ-რიცხვთა ტომთა და ნათესავთანი შეიწროვდენ ამა ად-გილებთა შინა იწროებითა დიდითა და უწესოჲთა, მით რომელ არა აქუნ-დათ მათ თჳს შორის არა-ვითარიმე ერთობა და მსგავსება, თჳნიერ კა-ცობრივისა სახისა. განსხუავებულნი ენითა და მარადის მტერნი ერთმან-ერთისანი, თჳთოეული მათგანი მეცადინეობდა საკუთრად მყოფობასა და თავისუფლებასა. ამ შემთხვევაში ტომსა საქართუელოსასა აქუნდა უაღრ-

სობა სხჳაზედ ადგილობითა, სარწმუნოებითა, განათლებითა და სამოქალაქო წყობილებითა. ტომსა ამას, ვითარცა უმთავრესსა და უუფლესსა მხარესა შინა, ჰქონდა სრული და კანონიერი მიზეზი დაცვად საკუთრად მეოფობისა და თავისუფლებისა. მაგრამ ძვირად უღირდა მას დაცვა კანონიერისა თავისუფლებისა თჳსისა. თათარნი და სპარსნი, ლეკნი და სხჳანი მრავალნი ერნი და მტერნი შეაიწროებდენ მას განმავლობასა შინა საუკუნეთასა. უწესოებასა და სისხლის ღვრასა არა ჰქონდა დასასრული. და მერმე, როდესაც მოიწია აღნიშნული ღ̂ჳთისაგან დრო, ერმან საქართ̂ჳლოსამან შეაფარა თავი თვისი სამოქალაქოსა უწესოებისაგან ქუეშე ფრთეთა რუსეთის ძლიერისა მართველისათა, და ამ სახით გამოუჩნდა ქ̂ჳყანასა, ვითარცა უძველესი ყოველთა მოწამე და აღმსარებელი მართლმადიდებლობისა და საკუთარისა მოქალაქობისა. უკეთუ იჭჳნეული გონება არა დაერწმუნება ცოცხალსა სიტყ̂ჳსა; მაშინ ქ̂ჳანი აღსდგებიან აქა ღაღადებად ამა საღმრთოთა კუთვნილებათა-თჳს საქართ̂ჳლოისა ერისა. ვიდრე ათას-ხუთასთა წელთა განვლეს სიწმიდესა ზედა მისსა; და მართლმადიდებლობა და საკუთრად მოქალაქობა, ანუ მეოფობა ერისა ამის, ყოველთა შორის სამოქალაქოთა ქართა და ნისლთა, წყალთა და ნიავ-ღვართა, დაადგრა შეურყეველად, სიტყვისა-ებრ ღ̂ჳთისა: «რომელნი ესვენ უფალსა, ვითარცა სიონი არა შეიძრნენ»!

ესრეთ, საქართ̂ჳლო იქმნა დასაწყისად და მიზეზად განვრცელებისა რუსეთის ძლევა-შემოსილის მხედრობის მოქმედებათა და განსადიდებელად საზღ̂ჳართა რუსეთის სამეფოსათა კავკასიის მხარესა შინა. ხოლო ესრეთი დიდი და კეთილ-მყოფელი ცვლილება განგებულებასა შინა სამეფოთა და ერთა კავკასიისათა აწარმოვა წმიდამან ქრისტეს სარწმუნოებამან, რომლისა-თჳს და რომლისა კეთილი შეგონებით საქართ̂ჳლომ ევედრა რუსეთსა შემწეობისა-თჳს და მორჩილებით განიპყრა მისდა ჴელნი. ძალითა ამა სარწმუნოებისათა, რომელიცა ჰსძლევს ყოველსა სოფელსა, აწ თითქმის ყოველნი სიმრავლენი კავკასიის მცხოვრებთანი დამშვიდდენ, დაწყნარდენ, და არღარა უკვირსთ მათ ახალი მდგომარეობა თვისი და მეზობლობა ერთმან-ერთისა.

მართალი-ა, ამ შემთხვევაში არა ყოველი არის ქმნილი და აღსრულებული, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომელ ესრეთსა დიდსა საქმესა შინა, ვითარიცა არის სრულიად დამშვიდება ველურთა და მძვინვარეთა ხალხთა, მცირედ მოძრაობაცა არის წასლჳსა წინა, და რომელ შემდგომად მახვილით დაპყრობისა ესრეთთა ხალხთა არა ყოველთჳს მსწრაფლად მოხდება დამორჩილება მათი ზნეობითი სახითა.

სასიამოვნო არს ჩუენთჳს ისეცა, რომელ მრავალსა კეთილსა წარმატებასა ვხედავთ ამა კერძოსა შინა ქუეყანისასა, რომლისა-თჳს უწინარეს ამისა ითქმოდა სიტყუა ესე ერთისა რუსეთის მწერალისა: « ქუეყანა არს დიდი და მდიდარი, ხოლო წესიერება მას შინა მცირე ».—დიდი ხანი არსა შემდგომად მისა, როდესაც ქუეყანა ესე ირაცხებოდა უგზოდ და განუვლელად, და ვინცა წარმოვიდოდა რუსეთით კავკასიად და ამა კერძოსა კავკასიისასა, იგი შესწირავდა თავსა თჳსსა სიკუდილად ჴ მოულოდა ყოველსა საშინელებასა ფრიად ძნელისა და უმაგალითოესა მოგზაურობისასა? და ახლა ყოველსა ამას მხარესა შინა შეიძლება მოგზაურობა ისე მშვიდობით და სიამოვნებით, ვითარცა თჳთ რუსეთში.—და თჳნიერ უშიშროებისა, არათუ მხოლოდ საქართუელოში, არამედ უგზოთა პირველ კავკასიის მთათა და ხეობათაცა შინა მოგზაური იხილავს მშვენიერსა ნაყოფსა რუსეთის მახვილისასა, ესე იგი—ყოველსა კეთილსა თვისებასა რუსისა ხასიათისასა, ესრეთ რომელ ბევრს შემთხვევაში ძნელად გამოიცნობ ბუნებითსა მცხოვრებსა აზიისასა გარდმოსახლებულთაგან ევროპისათა; და თჳთ ახლად დამორჩილებულნი მცხოვრებნი დაღისტნის მთისანი ისრე გამოიცვალნენ, რომელ მზა არიან მარადის მოსპობად მახვილითა თჳსითა მფოთთა და აღმრევათა მტერთასა და შეწევნად ჯართა რუსეთისათა. მაგალით. დაღისტნის ხალხში მთავრობამ ჰპოვა ისრეთი განმზადებულება და შემწეობა მოსპობისა-თჳს წასრულისა (*) აღშფოთებისა ზაქათალის მაზრაში, რომელ საჭირო იქმნა დაყენება ფრიად მხურვალისა სურვილისა მათისა მილიციაში შესვლისა-თჳს.

(*) 1863 წლისა.

ქსრეთნი არიან, საზოგადო ლექსით, ნამოქმედებნი ნაყოფნი ქრისტეს-მოყუარეს რუსეთის მხედრობათა კავკასიასა შინა! ახლა ჩუენ შეგვიძლიან კადნიერად ვსთქუათ, რომელ შესცთება მტერი იგი, რომელიცა განიზრახავს ბოროტსა კურთხეულისა რუსეთისა-თჳს. განხდების სიტყუა მეფისა დიდ-თა და განუზომელთა ადგილებთა რუსეთის საბრძანებელისათა, შეიკრი-ბიან მსწრაფლად, ვითარცა მფრინველნი, ძლიერსა ხმასა ზედა მ ა მ ი-ს ა — მ ო ნ ა რ ხ ი ს ა ს ა შვილნი სხუათა-და-სხუათა ტომთა და ენა-თანი, სხვისა-და-სხვისა სარწმუნოებისა და მდგომარეობისანი, გარნა ყო-ველნი ერთ-გვარითა სიმხნითა და სიყუარულითა მ ა მ ი ს ა თვისისად-მი, და ვერა დაადგრების მტერი, წარწყმდების წინააღმდგომი მბრძოლი! ძლევა მტერთა ზედა როსიისა-თჳს არა არს ამბავი ახალი!

ხოლო უკეთუ მოცემულ-არს ჩუენდა ნება განხილვად კეთილ-მოწი-წებიითა მხედველობითა მომავალი იგი, — უნდა ვსთქუათ, რომელ დიდ-არიან მოლოდებანი ჩუენნი მომავალსა შინა დროებასა. ინებოს მხოლოდ ღმერთმან, რათამცა აღსრულდნენ იგინი თჳთ საქმით! — მართლად, ვი-თარ საკვირველი და მშვენიერი იქმნება ქუეყანა ესე, კავკასია და მოღმა-კერძო კავკასიისა, რომ ყოველმან მცხოვრებმან აჭარისა მთისა და ხე-ობისამან ნაცვლად მახვილისა და ხანჯლისა მიიღოს ჯუარი ქრისტესი!.. მაშინ ყოველნი მცხოვრებნი კავკასიისანი, დიდითგან ვიდრე მცირედმდე, დატკბებიან ახლითა უსასიამოვნესითა ხილვითა, ახლითა დღესასწაულო-ბითა სულიერისა ძლევისათა, და ახლითა ცხოვრებითა კურთხეულსა ცა-სა ქვეშე აღმოსავლეთისასა, საშუალ მრავალ-ფერთა ნიშთა და აღმოცე-ნებათა მიწისათა. და არა მხოლოდ ესე; არამედ მაშინ თჳთ ზეცათა ში-ნა იქმნება დღესასწაულობა დიდი, — იქ, სადაცა სიხარული იქმნების ერ-თისაცა ცოდვილისა-თჳს, მოქცეულისა გზისაგან საცთურისა მისისა. — ადრე იქმნება, თუ გვიან ესე — ჩუენ არ უწყით. განგებულება ღუთისა მი-უწდომელ-არს. მამამან ზეცათამან თჳთ უწყის, ოდეს და ვისი ჯერ-არს მოწოდება ცნობად ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა, — და იქ, სადაცა კაცი ვერა იქმს ვერა-რასა თავის ძალით და გონებით, მადლი ღუთისა მოწო-

დების აღასრულებს ყოველივეს. ვისურვოთ და ვილოცოთ, რათა მოაწიოს ჟამი ესე! არ შეიძლება, რომ ველურთა მცხოვრებთა მთათა და ხეობათა არა მიბაძონ ცოტ-ცოტად კეთილსა მაგალითსა და არა მიიღონ ჩუენგან ნაყოფნი სამოქალაქოთა და საეკკლესიოთა კეთილ-მოქმედებათანი. — თავად და საფუძველად ამა მოლოდებათა იყავნ წმიდა სარწმუნოება ქრისტესი, დასაბამი და დასასრული ყოვლისა კეთილისა და ყოვლისა განათლებისა!

ძმანო-ქრისტიანენო! მოყვანება კავკასიისა აწმყოსა და მოლოდებითსა მდგომარეობასა შინა და დამორჩილება ყოველთა მტერთა ჩუენთა ძვირად უღირს როსიასა. ბევრი შრომა მოითხოვა ამან და ბევრი ღვაწლი მთავრობისაგან; მთელნი მდინარენი სისხლისანი დაითხივნენ ამისთჳს ქრისტეს-მოყუარეთა მხედრობათა-მიერ! მთელნი მილიონნი ფულთა შთაინთქნენ!.. ესრეთნი ძვირფასნი და ესრეთნი დიდნი მსხვერპლნი, შეწირულნი მხედრობისა და მთავრობისა ჩუენისა-მიერ დასამორჩილებელად და განსაშვენებელად კავკასიისა, არა განაღვიძებენაა გულთა შინა ჩუენთა ცოცხალსა და მხურვალესა გრძნობასა მადლობისასა ღუთისადმი, რომელმანცა მძლეველ გვყოფს ჩუენ? უკეთუ ჩუენთა ძმათა, ჩუენთა მხედრობათა დასთხიეს ესოდენი სისხლი დასამშვიდებელად კავკასიისა, დავიზაროთაა ჩუენ შემუსრვა სულთა და გულთა ჩუენთა წინაშე ღუთისა მსხვერპლად ქებისა და მადლობისა?

ღმერთო, შემმუსრველო ბრძოლისაო და დამამშვიდებელო ქუეყანისაო! მოგვეც ჩუენ მარადის ძლევა მტერთა ზედა ჩუენთა! ამინ.

მღუდელი გიორგი ხელიძე.

## სხჳა-და-სხჳა ამბავი.

—უწმიდესის სინოდის გარდაწყვეტილობით და ხელმწიფე იმპერატორის დამტკიცებით 18-ს წასრულის წლის ნოემბერს, ახალ-ციხის უეზდის ეკკლესიები გამოირიცხნენ საქართჳელოს ეპარხიის უწყებიდგან და მიეწერნენ იმერეთის ეპარხიას.

—უწმიდესმა და უმართებელესმა სინოდმა, უქაზითა თვისითა 6-ს ამ წლის აპრილიდგან № 666, ამცნო საქართჳელო-იმერეთის სინოდის კანტორას, დამტკიცება ქუთაისის საკათედრო სობოროზედ ორი გალოის ხორასი, რუსულისა და ქართულისა, და დანიშვნა მათ-თჳს ხარჯათ ექვს-ასისა მანეთისა იმერეთის საეკკლესიო ხაზინიდგან.

—უფალი სინოდის ობერ-პროკურორის კანცელარიამ ამცნო 2-ს წასრულს მაის საქართჳელოს ექსარხოსს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ყოვლად-უმწყალესად ინება ბოძება გულზედ საკიდი ვეცხლის მენდალისა სასულიერო უწყებაში ერთგულად სამსახურისა-თჳს, შემდგომთა პირთა:

ალექსანდრეს ლენტზედ: ეკკლესიის სტარასტად ნამყოფს, ალექსანდრეს სტანიცაში, თერგის ყაზახის ჯარში, ყაზახს ტერენტი სტრელნიკოვს.

ანნას ლენტზედ: ინძორის სტანიცის ეკკლესიის სტარასტას, იმავე ჯარში, ურიადნიკს დიმიტრი ჩებანოვს.

*სტანისლავას ლენტზედ*: არდონის სტანიცის ეკკლესიის სტარასტას, იმავე ჯვარში, ურიადნიკს ალექსი *ვასეჩკოს*.

— უფალმა სინოდის ობერ-პროკურორმა, 18-ს ამ წასრულს მაისს განუცხადა უწმიდესს სინოდს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ინება დათხოვნა გურიის ეპისკოპოსისა *გაბრიელისა*, ორი თვის ვადით ახალ-ციხის საექიმო წყლებზედ, და მმართველად გურიის ეპარხიისა ამ დროების განმავალობაში დაინიშნა არხიმანდრიტი *თომა*.

# СЛОВО (*)

## въ день памяти покоренія Восточнаго Кавказа. (**)

---

*Богу благодареніе, всегда побѣдители насъ творящему о Христѣ Іисусѣ* (2 Кор. 2, 14).

Въ настоящій день, когда мы торжественно воспоминаемъ покореніе самыхъ дикихъ и упорныхъ племенъ Кавказа, искони враждебныхъ Церкви Христовой и намъ, весьма прилично, слушатели, повторить слова Апостола: *Богу благодареніе, всегда побѣдители насъ творящему о Христѣ Іисусѣ!*

Нельзя думать, чтобы просвѣщенное вѣрою сердце христіанина находило въ сихъ словахъ священнаго писателя что-нибудь странное и одностороннее, свойственное только своеобразному настроенію нѣкоторыхъ

(*) Говорено въ Тифлисѣ, въ Сіонскомъ каѳедральномъ соборѣ, при архіерейскомъ богослуженіи, 25 августа 1863 г.

(** 25 авг. 1859 г. послѣдовало довершеніе покоренія всей восточной части Кавказа взятіемъ штурмомъ Гуниба и плѣненіемъ Шамиля; въ память этого событія установлено торжество, которое празднуется во всемъ Кавказскомъ краѣ 25-го августа.

изъ насъ, хотя, можетъ быть, и не находятся между нами усердные ихъ исполнители. Здѣсь выражена мысль, что одинъ только Богъ даетъ намъ торжествовать надъ врагами духовными и плотскими по вѣрѣ въ І. Христа, великаго Миротворца и Спасителя нашего, и что, слѣд., безъ помощи и благословенія Божія никакая, даже самая блистательная и окончательная въ глазахъ человѣческихъ, побѣда не можетъ быть прочною и плодотворною для побѣдителей и побѣжденныхъ. А это имѣетъ значеніе и въ приложеніи къ теперешнему нашему собранію. Поэтому, выступая на церковную каѳедру за нѣсколько минутъ до начатія благодарственнаго Господу Богу молебствія за покореніе Восточнаго Кавказа, мы желали бы задержать и остановить вниманіе слушателей на приведенныхъ выше словахъ богодухновеннаго Апостола, для того, чтобы благодареніе наше Богу было сердечнѣе и сознательнѣе.—Въ этомъ отношеніи, для задержанія и возбужденія вниманія, довольно представить нѣсколько замѣчаній о прежнемъ и настоящемъ состояніи Кавказкаго края и о будущихъ нашихъ надеждахъ.

Исторія всѣхъ вѣковъ едва ли можетъ представить такую разнохарактерность и разноплеменность народонаселенія, какая усматривается въ этой странѣ, называемой Кавказомъ и Закавказьемъ. Мѣстность этой страны совершенно соотвѣтствуетъ ея жителямъ. Умъ человѣка теряется мыслію при видѣ этихъ громадныхъ скалъ Кавказа, брошенныхъ одна на другую въ какой-то дивной и непонятной даже для глубокомысленнаго естествоиспытателя системѣ.

Такая же дивная картина усматривается и въ здѣшнемъ народонаселеніи. Остатки многочисленныхъ племенъ и народовъ столпились въ этихъ мѣстахъ безпорядочными массами, не имѣющими между собою ничего общаго, кромѣ образа человѣческаго. Различные по языку и всегда почти враждебные другъ другу, каждый изъ этихъ на-

родовъ хотѣлъ быть независимымъ и самостоятельнымъ. Въ этомъ отношеніи грузинскій народъ имѣлъ преимущество предъ всѣми и по мѣстности, и по вѣрѣ, и по гражданскому благоустройству. Этотъ народъ, какъ главный и господствующій въ странѣ, имѣлъ полное законное право удерживать за собою независимость и самостоятельность. Но дорого стоило ему отстаивать законное свое право! И Татары, и Персы, и Лезгины, и многія другія народныя массы тѣснили его въ продолженіи вѣковъ. Безпорядкамъ и кровопролитію не было конца. Наконецъ, когда приспѣло опредѣленное Богомъ время, народъ грузинскій укрылся отъ политическихъ невзгодъ подъ мощное крыло Русскаго Орла, и подъ этимъ видомъ явился свѣту, какъ самый древній въ цѣломъ мірѣ свидѣтель и исповѣдникъ православія и народности. Если бы сомнѣвающійся умъ не захотѣлъ вѣрить живому слову; то самые камни возопіютъ здѣсь въ пользу этихъ священныхъ достояній грузинскаго народа. Около полуторы тысячи лѣтъ пролетѣло надъ его святынею; а православіе и народность, при всѣхъ бывшихъ политическихъ буряхъ и невзгодахъ, устояли непоколебимо. *Надѣющійся на Господа, яко Сіонъ не подвижится!*

Такимъ образомъ Грузія послужила началомъ и центромъ распространенія дѣйствій русскаго побѣдоноснаго оружія и расширенія предѣловъ русскаго царства на Кавказѣ. А такую славную и благотворную реформу въ судьбѣ царствъ и народовъ кавказскихъ произвела св. вѣра Христова, ради которой и по спасительному внушенію которой Грузія молила Россію о помощи и съ покорностію простерла къ ней свои руки. По силѣ этой вѣры, побѣдившей весь міръ, теперь почти всѣ народныя массы Кавказа улеглись спокойно и мало по малу перестали и перестаютъ удивляться новому своему положенію и взаимному сосѣдству. Если же въ этомъ отношеніи не все еще сдѣлано, то не надобно забывать того, что въ великомъ дѣлѣ окончательнаго умиро-

творенія народовъ, особенно дикихъ и упорныхъ, и самое медленное движеніе есть уже шагъ впередъ, и что послѣ физическаго покоренія такихъ народовъ не всегда скоро удастся подчинить ихъ себѣ нравственнымъ образомъ.

Но во всякомъ случаѣ мы видимъ много отрадныхъ явленій въ этой странѣ, о которой еще недавно можно было повторить слова русскаго лѣтописца: «земля великая и богатая, но порядка въ ней мало».—Давно ли эта страна почиталась непроходимою, и кто отправлялся изъ Россіи на Кавказъ и въ Закавказскій край, тотъ обрекалъ себя на всѣ ужасы безпримѣрно-тяжкаго путешествія?.. А теперь почти по всему этому краю можно путешествовать такъ же спокойно, какъ и въ самой Россіи. И, кромѣ внѣшней безопасности, нетолько въ Грузіи, но и въ непроходимыхъ прежде ущельяхъ Кавказа можно встрѣчать прекрасные плоды русскаго оружія — проявленіе всѣхъ добрыхъ качествъ русскаго характера, такъ что во многихъ случаяхъ съ трудомъ уже начинаешь распознавать природнаго жителя Азіи отъ переселенцевъ Европы; даже недавно покоренные горцы Дагестана такъ перемѣнились, что готовы оружіемъ пресѣчь возмущеніе мятежниковъ и идти на помощь русскимъ войскамъ. Напр. начальство нашло въ народѣ Дагестана такое сочувствіе къ подавленію недавняго (*) возстанія закатальскаго округа, что должно было останавливать порывы желающихъ поступить въ милицію.(**)

Таковы нынѣ, въ общихъ чертахъ, слѣдствія плодотворныхъ дѣйствій христолюбиваго русскаго воинства на Кавказѣ! Теперь мы смѣло можемъ сказать, что обманется врагъ, мыслящій зло на благословенную Россію. Пронесется по неизмѣримымъ пространствамъ

(*) Въ 1863 г.

(**) См. оффиціальныя донесенія объ этомъ происшествіи, помѣщенныя въ газетахъ за 1863 г.

Царское слово, слетятся на могущественный гласъ Отца-Монарха чада разныхъ племенъ и нарѣчій, разныхъ вѣроисповѣданій и состояній, но всѣ съ одинаковою крѣпостію непобѣдимой любви къ Отцу Своему, и не устоитъ врагъ, погибнетъ дерзкій супостатъ! Побѣда для Россіи не новость!

А если намъ позволено благоговѣйною мыслію проникать въ будущее; то мы не можемъ удержаться отъ замѣчанія: велики наши надежды на будущность. Дай Богъ, чтобы онѣ оправдались на самомъ дѣлѣ!—

Что это за чудный былъ бы край, Кавказъ и Закавказье, еслибы дикіе жители здѣшнихъ горъ и ущелій перемѣнили свой кинжалъ и шашку на св. крестъ Христовъ!.. Тогда всѣ жители Кавказа, отъ мала до велика, насладились бы новымъ пріятнѣйшимъ зрѣлищемъ, новымъ торжествомъ духовной побѣды, и новою жизнію подъ благословеннымъ небомъ Востока, среди многочисленныхъ даровъ природы. Мало сего: тогда и на небѣ было бы торжество,—тамъ, гдѣ радость бываетъ и о единомъ грѣшникѣ, обратившемся отъ заблужденія пути его. Скоро ли это будетъ—неизвѣстно. Судьбы Божіи непостижимы. Отецъ небесный самъ знаетъ, когда кого призвать къ познанію истинной Вѣры, и тамъ, гдѣ человѣкъ не успѣваетъ ничего сдѣлать своимъ умомъ и своею силою, тамъ благодать призванія можетъ сдѣлать все. Будемъ желать и молиться, да приспѣетъ это время! Не можетъ быть, чтобы дикіе жители горъ и ущелій мало по малу не увлеклись примѣромъ лучшаго и не заимствовали отъ насъ плодовъ гражданскихъ и религіозныхъ добродѣтелей.—Во главѣ всѣхъ этихъ надеждъ да будетъ св. вѣра Христова, начало и конецъ всякаго добра и всякаго просвѣщенія!

Бр. христіане! Приведеніе Кавказа въ настоящее и ожидаемое состояніе и покореніе всѣхъ враждебныхъ намъ племенъ дорого сто-

ило Россіи. Много это требовало трудовъ и заботъ отъ правительства; цѣлыя рѣки крови пролиты для этого храбрымъ воинствомъ! Цѣлые милліоны денегъ поглощены!.. Такія дорогія, великія жертвы, принесенныя для покоренія и благоустройства Кавказа нашимъ воинствомъ и правительствомъ, не должны ли возбудить въ насъ, самыхъ живыхъ, самыхъ пламенныхъ чувствъ благодарности къ Богу, побѣдители насъ творящему? Если наши воины, наши братья пролили столько крови для покоренія и умиротворенія Кавказа; то пожалѣемъ ли мы излить свою душу и свое сердце предъ Богомъ въ жертвѣ хвалы и благодаренія?

Богъ же мира, сокрушаяй брани, да дастъ намъ всегда торжествовать надъ врагами нашими! Аминь.

*Священникъ Г. Хелидзе.*

# РАЗНЫЯ ИЗВѢСТІЯ.

—Государь Императоръ, по всеподданнѣйшему докладу господина Сvнодальнаго оберъ-прокурора, въ 18 д. нояб. 1863 г. Высочайше соизволилъ утвердить опредѣленіе Святѣйшаго Сvнода о перечисленіи церквей ахалцихскаго уѣзда изъ грузинской епархіи въ имеретинскую.

—Святѣйшій Правительствующій Сvнодъ (указ. отъ 6-го апрѣля сего 1864 года за № 666) утвердилъ представленіе Грузино-Имеретинской Сvнодальной Конторы объ учрежденіи при Кутаисскомъ каѳедральномъ соборѣ двухъ хоровъ пѣвчихъ, русскаго и грузинскаго, съ отнесеніемъ расхода на нихъ, по 600 р. въ годъ, на счетъ мѣстныхъ способовъ имеретинскаго церковнаго казначейства.

—Согласно положенію Кавказскаго комитета, вслѣдствіе ходатайства Грузино-Имеретинской Сvнодальной Конторы, Высочаише пожалованы, въ 5 д. апр 1864 г. серебряныя медали для ношенія на груди, за заслуги по духовному вѣдомству:

*На Александровской лентѣ*—бывшему старостѣ при церкви станицы Александровской, въ Терскомъ казачьемъ войскѣ, казаку Терентію *Стрѣльникову*;

*На Аннинской лентѣ*—Сторостѣ при церкви станицы Инзорской, въ Терскомъ казачьемъ войскѣ, уряднику Дмитрію *Чебанову*;

*На Станиславской лентѣ*—Старостѣ при церкви станицы Ардонской, въ Терскомъ казачьемъ войскѣ, уряднику Алексѣю *Васечко*.

—Господинъ Сѵнодальный оберъ-прокуроръ, отъ 18 минувшаго мая за № 3150, объявилъ Святѣйшему Сѵноду, что преосвященный *Гавріилъ*, епископъ гурійскій, Высочайше уволенъ въ отпускъ на два мѣсяца къ ахалцихскимъ минеральнымъ водамъ, съ порученіемъ управленія гурійскою епархіею на это время архимандриту *Ѳомѣ*.

СОДЕРЖАНІЕ:


I. Слово въ день памяти покоренія Восточнаго Кавказа.
II. *Р*азныя извѣстія...

# СОДЕРЖАНІЕ

## ГРУЗ. ОТДѢЛА:

I. Общепонятное изложеніе догматическаго ученія православной вѣры. (*продолженіе.*) . . . . . . *Свящ. Г. Хелидзе.*

II. Описаніе Давидгареджійской пустыни. (*продолженіе*) . . *А. Т.*

III. Сказаніе о нерукотворенномъ образѣ Господа нашего Іисуса Христа . . . . . . . . . . . . . . *І. Сулханова.*

IY. Слово въ день успенія Пресв. Богородицы. *Свящ. Георгія Хелидзе.*

Y. Слово въ день памяти покоренія Восточнаго Кавказа. *Его же.*

YI. Разныя извѣстія.

# სტატიები

## აგვისტოს წიგნისა:


I. ადვილ-სასმენელად გამოხატუა მართლ-მადიდებელის სარწმუნოების დოღმატიკურის სწავლისა (შემდგომი იქნება.) მღ. გ. ხელიძისა.

II. აღწერა დავითგარეჯის მონასტრისა . . . . . . . . . ა. ტ.

III. მოთხრობა ხელით-უქმნელის ხატისა-თჳს უფლისა ჩუენისა იე-სო ქრისტესა . . . . . . . . . . ი. სულხანოვისა.

IV. სიტყუა დღესა მიძინებისა ყოვლად-წმიდისა ღმრთის-მშო-ბლისასა. . . . . . . . . . . მღ. გ. ხელიძისა.

V. სიტყუა დღესა დაღისტნის დაპყრობისასა . . . მისი-ვე.

VI სხუა-და-სხუა ამბავი.


—


რედაკტორი და გამომცემი მაგისტრი, მღდელი გიორგი ხელიძე.

**Редакторъ и издатель: Священникъ, магистръ *Георгій Хелидзе.***

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 29 іюля 1864 года.

Цензоръ *І. Сулхановъ.*